წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

კვირა, 24 აპრილი, 1921 წ.

№ 44 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 44

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამოქალაქო ომი გერმანიაში

გერმანიის ამბები კანონიერათ იპყრობენ საერთო ყურადღებას. ეკონომიური კრიზისი, რომელიც ეწვია ომისაგან განადგურებულ ევროპას, კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა გერმანიისათვის განსაკუთრებით იმ საშინელებების გამო, რომელიც თავს დაატეხა ამ ქვეყანას გამარჯვებულმა კოალიციამ. ინგლის-საფრანგეთის რეპრესიებმა, რომლის ასპარეზი შეიქნა ეს ქვეყანა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში მისი უმესანიშნავესი სამრეწველო რაიონები რევოლიუციონურათ მომწიფებული მუშათა კლასით და იქ კომუნისტური ნახევარ მილიონიანი პარტიის ფართო გავლენით, კიდევ უფრო გაამწვავეს შინაური მდგომარეობა და დასაწყისი მისცეს პროლეტარიატის ფართო რევოლიუციონურ მოძრაობას, მიმართულს როგორც უცხო, ისე თავის საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. დაწყებულ დიდ მოძრაობაში გერმანიის რევოლიუციონური პროლეტარიატი გრძნობს თავის განუწყვეტელ მჭიდრო კავშირს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკ სთან, რომელშიდაც ის ხედავს თავის ყველაზე უფრო ძლიერს და საიმედო მეგობარს შინაურ და გარეშე მტრებთან ბრძოლაში. „მთლიანი პროლეტარული ფრონტი კაპიტალისტური ქაოსის წინააღმდეგ და სამკვდრო-სასიცოცხლო კავშირი საბჭოთა რუსეთთან"—ამ ლოზუნგში გამოხატა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ რევოლიუციონური პროლეტარიატის დღევანდელი დღის უშუალო მისწრაფებანი. ამ ლოზუნგით სწარმოებს დღეს სამოქალაქო ომი გერმანიაში. ტელეგრამები რომლებიც ჩვენ ხელთ არის დღეს მოსკოვიდან, ბერლინიდან და რიგიდან მოწმობენ რევოლიუციონური ბრძოლის არაჩვეულებრივ სიმწვავეს გერმანიაში. აჯანყებულთა მოძრაობა გადასროლილია რეინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონში. მთელი რიგი ქალაქებისა უკვე აჯანყებულების ხელშია. ესენში სწარმოებს მწვავე შეტაკება კომუნისტებისა და პოლიციის შორის. მთელი რკინის გზის ხაზი კელნ-დიუსელდორფის დაკავებულია რევოლიუციონერების მიერ. კომუნისტები მოუწოდებენ რურის სამრეწველო რაიონის მუშებს საყოველთაო გაფიცვისაკენ. ლეიპციგში მიდის დაუნდობელი ბრძოლა მუშებსა და პოლიციის შორის. იგივე მდგომარეობაა ცენტრალურ გერმანიაში. სწარმოებს ბრძოლა ჰალლე ლეიპციგის მიმართულებით და მთავრობა მოწყვეტილია მისგან. ერთი ტელეგრამის თანახმათ ბარმენში გამოცხადებულია უკვე საბჭოთა რესპუბლიკა, მანჰეიმში სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებია. კომუნისტებმა დაიკავეს მეტმანი და ფელბერიტი, ჩაიგდეს ხელში სახელმწიფო ბანკის განყოფილება და დააგზავნეს პროვინციაში ხალხი სურსათის საშოვრათ. საქსონიის კომუნისტებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. ასეთია მდგომარეობა გერმანიაში, ასეთი ენით ლაპარაკობენ დღევანდელი რადიოები ამ მდგომარეობის შესახებ.

ამნაირად რევოლიუციონური კრიზისი აღწევს თავის მწვერვალს გერმანიაში და საკითხავია, როგორია შანსები მისი გამარჯვების. სამწუხაროთ ჩვენ დიდი ხნით და საფუძვლიანათ მოწყვეტილი ვართ კერძოთ გერმანიასთან, რომ საჭირო სისწორით ვთქვათ რამე დასმულ კითხვის შესახებ. გარდა ამისა, თვით ბრძოლის პროცესში ძალთა განწყობილება ამა თუ იმ პირველი შეხედვით მეორე ხარისხოვან მოვლენის გავლენით იცვლება ხან ერთი, ხან მეორე მხრით. ეჭვს გარეშეა ჩვენ ვერ დავხუჭავთ თვალებს იმ ხიფათის წინ, რომელიც ადვილათ მოსალოდნელია ამდგარი პროლეტარიატისათვის, იმ მიზნების გამო რომელსაც ის ისახავს. ეს არის, როგორც ვთქვით, საბჭოთა რესპუბლიკის დამკვიდრებით უცხო და შინაურ ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა და საბჭოთა რუსეთთან ერთათ პროლეტარიატის განთავისუფლება. ის გარემოება, რომ რუსეთის ამხანაგებისაგან ისინი დაშორებულნი არიან, ხოლო თვით გერმანიაში მოიპოება დღეს საკმაო სამხედრო ძალა მოკავშირეების, რომელიც, რა რიგ შერყეული არ უნდა იყოს ადგილობრივი მუშების აგიტაციის გავლენით, მაინც მორჩილი იარაღია დღესაც თავის ბრძანებლების, ეს გარემოება ართულებს მდგომარეობას. როგორი ბრძოლაც არ უნდა სწარმოებდეს ვერსალის ხელშეკრულობის გამო მოკავშირეებისა და გერმანიის ბურჟუაზიის შორის, ისინი ყოველთვის გამონახავენ საერთო ენას ორივეს ბატონობის შემმუსრავი ძალის წინააღმდეგ. სხვა პირობებში და სხვა მმოქმედ პირთა მონაწილეობით შეიძლება განმეორდეს უფრო ფართო მასშტაბით 1871 წლის ამბები. მარა ჩვენ საკმაოდ დაშორებული ვართ ორმოცდაათი წლის განვითარებითა და მსოფლიო ომის გამო შექმნილი პირობების გავლენით ევროპაში იმ მდგომარეობისაგან, როდესაც ამდგარმა პროლეტარიატმა მარქსის სიტყვით „ცას შეუტია" და ირგვლივ სიჩუმე იყო გამეფებული. სწორედ ეს სიჩუმეა დღეს დარღვეული ყველა ქვეყნებში. კერძოდ საფრანგეთში და ინგლისშიაც. მოკავშირეთა და გერმანიის ბურჟუაზიის კოალიცია ამდგარი პროლეტარიატის წინააღმდეგ, რაც სრულიად შესაძლებელია სამოქალაქო ომის განვითარებით, აამოძრავებს და ფეხზე დააყენებს აქტიური ბრძოლის საწარმოებლად ინგლის-საფრანგეთის ისედაც დღეს მოუსვენრობით მოცულ პროლეტარიატს და შექმნის მთლიან ფრონტს გაშლილ ბრძოლისას, ყოველ შემთხვევაში შეიტანს მებრძოლ იმპერიალიზმის ძალაში დამრღვევ ელემენტებს. სოციალისტური რევოლიუცია გერმანიაში გაიმარჯვებს და განმტკიცდება ევროპის პროლეტარიატის დახმარებით და სოციალ-მოღალატეთა გავლენის განადგურებით, რომლებიც ამ შემთხვევაშიაც ემზადებიან ალბათ თავის მუხანათური მოქმედებისთვის. ევროპის პროლეტარიატის ასამოძრავებლათ, ხსენებული გავლენის მოსასპობათ—აქეთკენ უნდა იყოს დღეს მიმართული გამოუკლებლივ მთელი ენერგია კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი ნაციონალური სექციების ევროპაში. მისი დროშის ქვეშ ვითარდება სამოქალაქო ომი დღეს გერმანიაში და მხოლოთ ამ დროშით ხელში გაიმარჯვებს ის.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### წინა დღით.

ევროპაში გამოჩნდა წითელი აჩრდილი, აჩრდილი კომუნიზმის. ტყუილად სცდილობდა საერთაშორისო ბურჟუაზია მოეკლა ეს აჩრდილი საბჭოთა რუსეთის ფარგლებში და ჩაეხჩო იქ რკინის რკალში რომელშიც შემოარტყა მას. მაგრამ ის მაინც გამოუსხლტდა, გადააბიჯა ეკლიან ღობეს, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, სანამ ბურჟუაზია აქრობდა ცეცხლს ერთ ადგილას, იმის სახლში სხვა და სხვა ადგილს გამოჩნდნენ ალის საბედისწერო ენები. პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც ემუქრება, თანამედროვე საზოგადოების არსებობას, ვრცელდება ყველა ქვეყნებში და არავითარ ძალადობას, არავითარ გაიძვერობას არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას. იტალიაში, ისპანიაში, გერმანიაში, ბალკანეთში, ინგლისში, ამერიკაში, აზიაშიც კი მიჯაჭვულმა ბუმბერაზმა მუშამ დაიწყო ჯაჭვის წყვეტა, რომლითაც იგი შებოჭა ბოროტმა ბურჟუაზიულმა კაცუნამ, და თავისი მედგარი გაქანებით მსოფლიო კაპიტალიზმის მთელი შენობა შეარყია.

სული ჰქრის, სადაც უნდა და როგორც უნდა. სხვა და სხვა ადგილებში და სხვა დროს იგი ღებულობს სხვა და სხვა ფორმას. იტალიაში მუშები და გლეხები ხელთ იგდებენ ფაბრიკებსა და მიწებს, გერმანიაში პროლეტარიატი ახდენს შეიარაღებულ აჯანყებებს, ინგლისში მუშები აწყობენ გაფიცვებს, რომელთაც აქვთ პირველი შეხედვით პროფესიონალური ხასიათი, მაგრამ ნამდვილად ძირს უთხრიან ბურჟუაზიულ ბატონობას. ყველა ამ გამოსვლებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავის უშუალო ამოცანებით შეგნებით და მონაწილეთა მისწრაფებებით, ყველა ამ გამოსვლებში ინასკვება მუშათა მასების შეუდრეკელი მისწრაფება მოიცილოს თავიდან პოლიტიკური და ეკონომიური მონობა. ყველა ეს ბურჟუაზიამ კარგათ იცის. შეიძლება თვითონ მუშები მოტყუილდნენ საკუთარ მოძრაობის ჭეშმარიტ გაგებაში, მაგრამ ბურჟუაზიას ვერ მოატყუილებს მოძრაობის წმინდა ეკონომიური და პროფესიონალური ფორმა: ამაში ის ინსტინქტიურად გრძნობს მუქარას თავის არსებობის წ ნააღმდეგ მიმართულს. ამ მხრივ აღსანიშნავია პანიკური შიში ინგლისის მთავრობისა მემაღაროეთა გაფიცვის გამო.

ამ პანიკის შესახებ ლაპარაკობენ ის ცნობები, რომელნიც მოდიან ჩვენამდის ინგლისიდან, თუმცა სამწუხაროდ ისინი ფაქტიურ მხარეს მთლიანად ვერ გადმოგვცემენ. ინგლისის მუშებმა არა თუ ვერ დაამყარეს ჯერ თავიანთი დიქტატურა, არამედ კიდევ ვერ დასვეს გარკვეულად საკითხი ხელისუფლებაზე. ამას ხელი არ შეუშლია ბურჟუაზიისათვის ფაქტიურად დაეწესებინა თავისი დიქტატურა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბურჟუაზიის დიქტატურა კაპიტალისტურ ხანაში ყოველთვის არსებობს. ჩვეულებრივ დროს იგი მორცხვად იმალება „დემოკრატიის" და „თავისუფლების" დროშის ქვეშ. მაგრამ კრიზისის დროს იგი იხდის მასკას და უკუაგდებს ყოველგვარ ცერემონიებს.

ტელეგრამა გერმანიიდან, რომელსაც უეჭველია, ახარებს მის მტრის ოჯახში მომხდარი უბედურება და რომელიც ამ შემთხვევაში ტყუილს არ იტყვის, პირდაპირ უწოდებს ინგლისის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს დიქტატურას.

ინგლისის მთავრობამ მძაფრად ჩასჭიდა თავისი ხელი ქვანახშირის მაღაროებს, ტრანსპორტს, სასურსათო მარაგს და სხვ.

ნაუენის რადიო ცნობებს თუ ჩაუკვირდებით, უნდა ვიფიქროთ, რომ „ჰაბეას კორპუს" (კანონი, რომელიც პიროვნების თავისუფლებას იცავს) გაუქმებულია. ყოველ შემთხვევაში დეპეშა ამბობს, რომ მთავრობას მიენიჭა უფლება აკრძალოს კრებები და იარაღის ტარება, აგრეთვე მიეცა უფლება მიმართოს შეიარაღებულ ძალას, თუ ამას საჭიროდ დაინახავს, პოლიციას ნება აქვს დართული მოახდინოს ჩხრეკა და დაპატიმრება სასამართლოს ნებადაურთველად; ამასთანავე მთავრობის ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი ისჯებიან არა მარტო დაჯარიმებით, არამედ კატორღაში გაგზავნითაც, !

ამის გარდა, ინგლისის მთავრობამ საჩქაროდ გაიწვია თავისი ჯარები ირლანდიიდან, ეგვიპტიდან, მალტიდან და ზემო სილეზიიდან იმ მიზნით, რომ გაეძლიეროს შინაგან გარნიზონების შემადგენლობა იმ შემთხვევისათვის თუ მუშათა გამოსვლები მოხდება. ამასთან ერთად აკრძალეს მატროსების შვებულებაში დათხოვნა და ამგვარად ბრიტანეთის მრისხანე ფლოტი ემზადება შეიძინოს ახალი ძლევის გვირგვინი შინაურ მტრებთან ბრძოლაში.

ჰეი, თქვენ, კაინის შვილნო!
ვისთვის აწზადებთ ამ იარაღებს?

თავის ქვეყნის მუშებისათვის! ეს შესაძლებელია, აღმაშფოთებელიც იყოს, მაგრამ ბურჟუაზიის თვალსაზრისით ეს სრულიად წესიერია. აქ გამოცხადებულია სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. კლასი კლასის წინააღმდეგ ირაზმება! ერთი მოჰკლავს მეორეს. თუ ბურჟუაზი ამ არ მოჰკლა პროლეტარიატი, ეს უკანასკნელი გასრესს მას დღეს თუ არა, ხვალ მაინც. დიდ ხანს მძინარე ბუმბერაზი პირველად იდგამს ფეხს. გაუბედავად და მკრთალად აბიჯებს იგი. მისი გაუბედავის, მაგრამ გმირული ნაბიჯის სიძლიერით ირყევა მთელი ბურჟუაზიული შენობა. ბნელეთის ავი სულები გრძნობენ განთიადის მოახლოვებას, კანკალობენ და ყოველ კუთხეს აწყდებიან. მაგრამ ვერაფერი იმათ ვერ იხსნის. ისინი განწირულნი არიან და მზე მაინც ამობრწყინდება! ი. ხტეკლოვი.

„უწყებანი" ს. რ. ც. ა, ქ. 10 აპრ.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

### ამხ. სტალინის სიტყვა ნაციონალურ საკითხზე.

**სტალინი.** (გაგრძელება) ეს ყველა ის ფაქტორები, რომელთაც ეროვნულ ჩაგვრის განვითარების მეორე ხანის დროს, საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებამ, არამც თუ ვერ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი, არამც თუ ერთა შორის მშვიდობიანობა ვერ დაამყარა, პირიქით გადააქცია ეროვნულ ბრძოლის ნაპერწკალი ჩაგრულ ერთა, ახალშენთა და ნახევრათ ახალშენთა ბრძოლის ალად, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ცხადია ერთად ერთი რეჟიმი, რომელსაც შეუძლია ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა ე. ი. რომელსაც უნარი აქვს შექმნას პირობები სხვა და სხვა ხალხთა და ტომთა მშვიდობიან აღმშენებლობისა და ძმური თანამშრომლობა არის რეჟიმი საბჭოთა რუსეთისა, რეჟიმი პროლეტარიის დიქტატურისა.

მე მგონია მეტია იმის მტკიცება, რომ ვიდრე ბატონობს კაპიტალი, კერძო საკუთრება საწარმოვო იარაღზე, კლასთა არსებობის დროს ეროვნული თანასწორობა უზრუნველყოფილ არ იქნება, რომ ვიდრე არსებობს კაპიტალის უფლება, სანამ სწარმოებს ბრძოლა წარმოების დასაპყრობად, ალაგი არ ექნება არავითარ ეროვნულ თანასწორობას სწორედ ისეე. როგორც თანამშრომლობას ერების მშრომელთა მასსებს შორის. ისტორია გვიჩვენებს, რომ ერთად ერთ სახსარს ეროვნულ უთანასწორობის მოსასპობად, ერთად ერთ საშუალებას დაჩაგრულ და დაუჩაგრავ ხალხთა თანამშრომლობისას შეადგენს — კაპიტალიზმის ლიკვიდაცია და საბჭოთა წესწყობილების დამყარება.

შემდეგ ამისა ისტორიამვე დაგვანახვა, რომ რამდენადაც ცალკე ერებს ეხერხებათ თავის დაღწევა თვის ეროვნულ ბურჟუაზიისაგან ისე, როგორც „უცხო" ბურჟუაზიისაგან, ე. ი. რამდენადაც მათ დაამყარეს თავიანთი საბჭოთა წესწყობილება, მოახერხეს არსებობა იმპერიალიზმის დროს, ამას ისინი ვერ ახერხებენ მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო და სამხედრო ძალთა დაუხმარებლად. ჰუნგრეთის მაგალითი მჭერმეტყველურად ჯვიმტკიცებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო კავშირის უქონლად, მათ სამეურნეო-სამხედრო ძალების შეუკავშირებლათ არ შეუძლიათ გამკლავება მსოფლიო იმპერიალიზმის შეერთებულ ძალების წინააღმდეგ, არც სამეურნეო და არც სამხედრო ფრონტებზე. საბჭოთა რესპუბლიკის ფედერაცია არის სახელმწიფო კავშირის ის სანეტარო ფორმა, რომლის განხორციელებასაც წარმოადგენს რ. ს. ფ. ს. რ.

აი, ამხანაგებო, ის წინასწარი დებულებები, რომელზედაც მე მსურდა ლაპარაკი აქ იმიტომ, რომ შემდეგ დამესაბუთებინა საჭიროება, ჩვენი პარტიის ზოგიერთ ნაბიჯისა ეროვნულ საკითხის გადაჭრისათვის რ. ს. ფ. ს. რ. ფარგლებში.

თუმცა საბჭოთა წესწყობილების დროს რუსეთში და მასთან დაკავშირებულ რესპუბლიკებში უკვე აღარ არსებობენ არც გაბატონებული და არც უუფლებო ეროვნებანი, არც მეტროპოლიები და არც კოლონიები, არც ექსპლოატატორები და არც ექსპლოატაციის მსხვერპლნი, მაგრამ ეროვნული საკითხი მაინც არსებობს რუსეთში. ეროვნულ საკითხის შინაარსი რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში გამოიხატება იმაში, რომ მოისპოს ის ჩამორჩენილობა (სამეურნეო, პოლიტიკური, კულტურული) რომელიც წარსულიდან აქვთ ნაანდერძევი, რომ საშუალება მიეცეთ ჩამორჩენილ ეროვნებათ დაეწიონ ცენტრალურ რუსეთს სახელმწიფოებრივ კულტურულ და მეურნეობის მხრივ. ძველ რეჟიმის დროს მეფის მთავრობა არ ცდილობდა და არც შეეძლო ცდილიყო, სახელმწიფოებრიობის განვითარებას უკრაინაში, აზერბაიჯანში, თურქესტანში და სხვა განაპირა ქვეყნებში; იგი იბრძოდა სახელმწიფოებრივ განვითარების წინააღმდეგ სწორედ ისევე, როგორც ებრძოდა კულტურულ განვითარებას და ილტვოდა ადგილობრივ ერების ასსიმილიაციისაკენ. შემდეგ ძველმა სახელმწიფომ, მემამულეებმა და კაპიტალისტებმა გვიანდერძეს აგრეთვე დაბეჩავებული ხალხები, როგორც მაგალითად ყირგიზები, ჩეჩნები, ოსები, რომელთა მიწებიც გამზადებული იყო რუსეთის ყაზახთა და კულაკურ ელემენტების საკოლონიზაციოდ. ეს უბედური ხალხი აუტანელ წვალებისა და ამოწყვეტისთვის იყვნენ გამზადებულნი. შემდეგ უნდა ვთქვათ, რომ მდგომარეობამ ველიკორუსეთის ეროვნებისამ, რომელიც გაბატონებულ ეროვნებას წარმოადგენდა, დასტოვა თვის ზედგავლენის ნიშანი რუს კომუნისტებზედაც კი, რომელთაც ვერ მოეხერხებით ან და არა სურდათ დაახლოვებოდენ ადგილობრივ მკვიდრთა მშრომელ მასსებს, გაეგოთ მათი გაჭირვებანი და დახმარება აღმოეჩინათ ამ დაქვეითების და უკულტურობის თავის დასაღწევათ მე ვლაპარაკობ იმ მცირე რიცხვ რუს კომუნისტთა ჯგუფებზე, რომელნიც გვერდს უვლიან თვის მუშაობის დროს ყოფაცხოვრების თავისებურობას და კულტურას განაპირა ქვეყნებში და ზოგჯერ უხვევენ რუსულდიდმყრობელობის შოვინ ზმისაკენ. შემდეგ არარუს ეროვნებათა მდგომარეობაც რომელთაც განიცადეს ეროვნული ჩაგვრა, არ დარჩა უგავლენოთ ადგილობრივ კომუნისტებს, რომელთაც ვერ შესძლეს გაერჩიათ თავიანთი ხალხის ინტერესი მშრომელთა მასსისა ეგრედ წოდებულ „ზოგად-ეროვნულ" ინტერესებისაგან. მე ვლაპარაკობ იმ გზის აცდენაზე ადგილობრივ მკვიდრთა ნაციონალიზმის მხრივ რომელიც შენიშნულია ზოგჯერ ადგილობრივ კომუნისტთა შორის და რომელიც აღმოსავლეთში გამოიხატება პანისლამიზმსა და პანტიურკიზმში. დაბოლოს საჭიროა ამოჟლეტისაგან ვიხსნათ კირგიზები, ბაშკირები და ზოგიერთი მთიელთა მოდგმანი უზრუნველვყოთ იგინი მიწებით. აი ეთია არა სრული ნუსხა იმ სამკვიდროს, რომელიც წარსულიდან მივიღეთ და რომელიც უსათუოდ ლიკვიდაციის მოხდენას საჭიროებს.

დავახასიათე რა პარტიის ეს მორიგი საკითხები, მე მსურდა გადავსულიყავ საერთო საკითხზე ე. ი. ისეთზე, რომელიც შეუფარდებს ჩვენს კომუნისტურ პოლიტიკას განაპირა ქვეყნებში იმ საგანგებო პირობებს მეურნეობის მდგომარეობისას, რომელიც არსებობს უმთავრესად აღმოსავლეთში. საქმე იმაშია, რომ მთელმა წყებამ, უმთავრესად, ტიურკების ხალხებისამ (ისინი 30 მილ. ირიცხება) ვერ მოასწრეს სამრეწველო კაპიტალიზმის ხანაში გავლა, და ამიტომ ცოტა ჰყავთ ანუ სრულიად არ ჰყავთ სამრეწველო პროლეტარიატი, რის გამოც მათ უხდებათ მეურნეობის პირველ ყოფილ ფორმებიდან საბჭოთა მეურნეობის ხანაში გადასვლა და სამრეწველო კაპიტალიზმის გზის ახვევა. რომ ეს მძიმე, მხოლოდ შესაძლო ოპერაცია მოვახდინოთ, საჭიროა გავითვალისწინოდ ყველა განსაკუთრებული თვისებანი ეკონომიურ მდგომარეობისა, ამის გარდა ისტორიულ წარსულისაც, აგრეთვე მდგომარეობა და კულტურა ამ ხალხებისა. გადატანა ამ ხალხთა ტერიტორიაზე იმ ზომებისა, რომელთაც ძალა და მნიშვნელობა ჰქონდათ აქ რუსეთის ცენტრში—ეს წარმოუდგენელია და საეჭვო. ცხადია, რომ რ. ს. ფ. ს. რ. სამეურნეო პოლიტიკის გატარების დროს უსათუოდ მხედველობაში უნდა მივიღოთ კლასიურ კულტურის ეკონომიურ მდგომარეობის ყველა ის თავისებურებანი, ისტორიული წარსული, რომელსაც ჩვენ ჩაუსწარით და დაგვხდა განაპირა ქვეყნებში. მე აღარ დავასახელებ ისეთ უთანხმოებათა თავიდან აცილებას, როგორც მაგალითად სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულება სულად დაბეგვრის წესრიგზე, ღორების ჩაბარებაზე ყირგიზეთში, საცა მაჰმადიან მცხოვრებთ თავის დღეში არ ჰყოლიათ ღორები; ეს მაგალითი მოწმობს ცხადად, თუ რამდენად არ უნდათ ანგარიშის გაწევა ყოფა ცხოვრების თავისებურობას, რომელიც თვალში ეჩხირება პირველ მოგზაურს...

მე ეს ეს არის გადმომცეს ბარათი, რომ უპასუხო ამხ. ჩიჩერინს. ამხანაგებო, მე ვფიქრობ, რომ ამხ. ჩიჩერინის წერილებში ოთხი შეცდომაა ანუ გაუგებრობა. უპირველეს ყოვლისა ამხ. ჩიჩერინი მზადაა უარყოს წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის, მიაწეროს იმპერიალისტებს ინტერნაციონალური შეკავშირება, უნარი და ყურადღებიდან გაუშვას, არ შეაფასოს ის შინაგანი უთანხმოებანი იმპერიალისტურ ჯგუფებში და სახელმწიფოებს შორის, რომელნიც არსებობენ და ჰბადებენ ომს (საფრანგეთი ამერიკა ინგლისი იაპონია და სხ.) მან გადააფასა იმპერიალისტთა მეთაურების შეკავშირების მომენტი და საკმაოთ არ შეაფასა ის წი-

# დღეს ნომერში:

**გუშინდელი დღის ნომრის შინა რხში ამავე ალაგას შეცდომით იყო მოხსენებული ცნობა პარტიებთან ბრძოლის კვირის მოწყობის შესახებ.**
**რევკომის დეკრეტი ღვინით ვაჭრობის თავისუფლების შესახებ.**
**საფრანგეთის მთავრობას შეუძლებელად მიაჩნია ვრანგელის ჯარის არსებობა სტამბოლში და მას ყოველგვარ დახმარებას უს ობს.**

---

ნაალმდეგობანი, რომელიც ამ ტრესტის შიგნით არსებობენ. შემდეგ ამხ. ჩიჩერინი მეორე შეცდომას აკეთებს. იგი შეფასებას არ უკეთებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც სუფევს გაპატონებულ დიდ ქვეყნებსა, და ეხლახან შექმნილ ეროვნულ სახელმწიფოებ შორის (ჩეხოსლოვაკები, პოლონეთი, ფინლიანდია და სხვ.), რომელნიც ამ დიდ ქვეყნების ფინანსიურ და სამხედრო მონობაში იმყოფებიან.

ამხ. ჩიჩერინმა სრულიად გამოსტოვა მხედველობიდან, რომ, მიუხედავად ამ ეროვნულ სახელმწიფოების დამონავებისა დიდ სახელმწიფოების მიერ, სწორედ რომ ვსთქვათ, ამ დამონავების წყალობით, დიდ სახელმწიფოთა და ამ ეროვნულ სახელმწიფოთა შორის სუფევს წინააღმდეგობანი, რომელთაც თავი იჩინეს, მაგალითად, პოლონეთთან, ესტონეთთან და სხვ. მოლაპარაკების დროს. სწორე აზრი ამ საქმისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს წინააღმდეგობანი გაითვალისწინო, მათზე დაეყრდნო და ამ წინააღმდეგოპათა ჩარჩოები ერთმანეთს შეუფარდოთ. ამხ. ჩიჩერინმა სრულებით ვერ შეაფასა ეს მომენტი. მესამე შეცდომა ამხ. ჩიჩერინისა არის ის, რომ ის ძლიერ ბევრს ლაპარაკობს ნაციონალურ თვითგამორკვევაზე, რომელიც ნამდვილად გადიქცა ფუჭ ლოზუნგად, რომელიც მოხერხებით გამოიყენეს იმპერიალისტებმა. ჩვენ პროგრამაში ლაპარაკია არა ნაციონალურ თვითგამორკვევაზე—ლოზუნგი სრულიად მოცვეთილი,—არამედ ლოზუნგზე, უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულზე და თვალნათლივ განსაზღვრულზე—ხალხთა სახელმწიფოებრივ გამოყოფის უფლებაზე. ეს ორი საგანი სულ სხვადასხვაა. საკვირველია, რომ ამხ. ჩიჩერინი ამ ორ მომენტს თვის წერილებში ანგარიშს არ უწევს, რის გამო მთელ მის საპასუხო კამათს, წარმოებულს წინააღმდეგ ამ ლოზუნგისა, რომელიც მოცვეთილი გამოდგა, ეძლევა არა სერიოზული ხასიათი. მაგრამ ლოზუნგი სახელმწიფოებრივ გამოყოფისა ჩვენთვის ამ ჟამად, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაღდება ახალშენებში, რევოლიუციონურ ლოზუნგად ითვლება. რამდენადაც საბჭოთა სახელმწიფოები კავშირდებიან ფედერაციებში, ნებითმყოფლობით ნიადაგზე, იმდენად უფლება გამოყოფაზე რჩება გამოუყენებლად იმ ხალხთა მიერ, რომელნიც შედიან რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში. მაგრამ რამდენათაც ჩვენ საქმე გვაქვს იმ ახალშენებთან, რომელიც იმყოფებიან ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიის კლანჭებში, რამდენადაც ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ დამონავებულ ქვეყნებთან როგორც არაბეთი, მესოპოტამია, ოსმალეთი, ინდოსტანი ე. ი. იმ ქვეყნებთან, რომელნიც ანტანტის კოლონიებათ ითვლებიან, ლოზუნგი ხალხთა უფლებისა გამოყოფის შესახებ ითვლება რევოლიუციონურად და უარის თქმა მასზე ნიშნავს ანტანტის იარაღად გადაქცევას. მეოთხე უთანხმოება არის ის რომ პრაქტიკულ ჩვენებებს ამხ. ჩიჩერინი თავის წერილებში არ იძლევა, მე მის წერილებში ვერ ვიპოვე ვერც ერთი პრაქტიკული რჩევა, რომელიც ყურადღების ღირსი იყოს.

მე ჩემს მოხსენებას ვამთავრებ ამხანაგებო. ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნამდე: ბურჟუაზიულ საზოგადოებას არამც თუ ჰქონდა თავი ეროვნული საკითხი გადაეჭრა არამედ პირიქით ამ გადაჭრის ცდის დროს მან ეროვნული საკითხი გაართულა და თვის წინააღმდეგ შექმნა ახალი ფრონტი დაწყებული ირლანდიიდან ვიდრე ინდოსტანამდე. ერთად - ერთი სახელმწიფო, რომელსაც ნიჭი და უნარი შესწევს დასვას და გადაჭრას ეროვნული საკითხი — ეს ის სახელმწიფოა, რომელიც ეყრდნობა კოლლექტიურ საკუთრებას, წარმოებაში საწარმოვო იარაღებზე საბჭოთა სახელმწიფო. საბჭოთა ფედერატიულ სახელმწიფოში აღარ მოიპოება სრულებით— არც დაჩაგრული ეროვნებანი, არც გაბატონებულნი, ეროვნული ჩაგვრა მოსპობილია. მაგრამ ძველ ბურჟუაზიულ წესით მემკვიდრეობით გადმოცემულ ფაქტიურ უთანასწორობისა (კულტურულ სამეურნეო, პოლიტიკურ) უფრო მეტ კულტურულ და ნაკლებ კულტურულ ეროვნებათა შორის, ეროვნული საკითხი ღებულობს ისეთ ფორმას, რომელიც მოითხოვს შემუშავებას ისეთ ზომებისას, რომ მშრომელ მასსებს დაქვეითებულ ერებს შეუმსუბუქდეს სამეურნეო პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა. მიეცეს მათ საშუალება დაეწიონ წინწასულ ცენტრალურ, პროლეტარულ რუსეთს. აქედან გამომდინარეობს ის პრაქტიკული მოსაზრებანი, რომელნიც შეადგენენ შინაარსს მესამე ნაწილისას ეროვნულ საკითხში შესახებ წარმოდგენილ ჩემ ტეზისებისას (ტაში).

---

# საბჭოთა საქართველოში

**სალამი საქართველოს რევკომს.**

რევკომის თავმჯდომარის მახარაძის სახელობაზე ზემო აჭარიდან მიიღეს შემდეგი დეპეშა: ხულოში,—ზემო აჭარაში მოხდა მიტინგი ამხანაგ ალი წულუკიძის თავმჯდომარეობით. ხალხმა, მოისმინა რა განმარტება ამხანაგ თერგიზ ქლენტისა, კირილე თავბერიძისა უეიზულა ვასაძისა და ჯამილ ჯაფაროვისა მენშევიკურ მთავრობის ჩამოგდებაზე და მშრომელთა მასსების განთავისუფლებაზე, ერთსულოვნათ ესალმება საბჭოთა ხელის უფლებას. ჩვენ უნდა შეუდგეთ ახალ არჩევნებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს წითელ ლაშქარს. ალი წულუკიძე და ახმედ დიმიტრაძე.

**სოხუმი.** 20 აპრილი. (ტელეგრაფ.) ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები აწარმოებენ დიდ განმანათლებელ მუშაობას.

**მიწების დამუშავება.**

**რედუტ-კალე.** 20 აპრილი. (ტელეგრაფ.) ადგილებიდან მიღებულ ცნობებით მიწების დამუშავება ძალიან მარჯვედ სწარმოებს.

**ეკატერინოფელდში. კომპარტიის მუშაობა.**

ეკატერინოფელდი, 20 აპრ. (ტელეგრაფ.) ადგილობრივ კომპარტიის მუშაობა დღით დღე იზრდება. კომიტეტთან მოეწყო ქალთა განყოფილება, რომელიც სოფლად დიდს მუშაობას აწარმოებს.

**სამზადისი 1 მაისისთვის.**

**ეკატერინოფელდი.** 20 4 (ტელეგრაფ.) გრუკავროსტას განყოფილებასთან არსებული კომპარტიის ადგილობრივი კომიტეტი ენერგიულად ემზადება პირველ მაისის დღესასწაულის მოსაწყობად. მზადდება ლოზუნგები პლაკატები, საგიტაციო ავტომობილები და ურმები. სხვა და სხვა ალაგას გაიმართება სადღესასწაულო მიტინგები

**საბჭოთა ხელისუფლებისთვის.**

**ეკატერინოფელდი.** 20 აპრილი (ტელეგრაფ). ვორონცოვკაში დიდი მიტინგი გაიმართა ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია, რომ მხარს დაუჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას და ხელს შეუწყობენ თავის საქმეს.

**სამზადისი პირველ მაისისთვის.**

**მანგლისი.** 19 (ტელეგრაფ.). გრუკავროსტას კომპარტიისა და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წარმომადგენლებისგან შესდგა საგანგებო კომისია პირველ მაისის საზეიმო დღესასწაულისათვის. კომისია შეუდგა საერთო წესრიგის შემუშავებას პირველ მაისის სადღესასწაულოდ. მანგლისში და მის რაიონებში, პირველ მაისს გამოვა საგანგებო კედლის გაზეთი, მოეწყობა კონცერტები და მიტინგები. განზრახული აქვთ მოაწყონ ტავთ-ვარჯიშობა ადგილობრივ გიმნაზიის მოწაფე ქალთა მონაწილეობით. სამუშაოს ტეხნიკური მხარე დავალებული აქვს გრუკავროსტას ადგილობრივ განყოფილებას.

---

# საბჭოთა რუსეთში

**მ სკოვის საბჭოს ხელ-ახალი არჩევნები.**

**მოსკოვი.** 20 აპრ. (რადიო) წითელ პრესის მანიფესტაცია. განსაკუთრებულ პირობებში ჩაიარა არჩევნებმა წითელ პრესის ჯარის ნაწილებში. ამ კრებაზე არჩეულნი არიან, მხოლოთ კომუნისტები. არჩევნების დაბოლოვების შემდეგ მოახდინეს მანიფესტაცია ამორჩეულ წითელ ერმილებისა. დემონსტრაციების წინ მოსჩანდა პლაკატი წარწერით: წითელ პრესნას წითელ არმიელებმა, მოსკოვს საბჭოში ამოირჩიეს მხოლოდ კომუნისტები". მეორე პლაკატი „წითელმა ჯავშნოსანმა მოსკოვის რაიონის ხელ-ახალ არჩევნებში დეპუტატებათ აირჩიეს მხოლოდ კომუნისტები, მხოლოდ რუსეთის კომუნისტურ პარტიას შეუძლიან დაიგვირგვინოს რევოლიუცია. მესამე პლაკატი—„ჯავშნოსნები-საიმედო მფარველება არიან რევოლიუციისა".

დემონსტრანტების მიტინგი დაიავდა აღფრთოვანებულ მისალმებით მოსკოვის საბჭოსადმი, მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკისადმი მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალსა და რევოლიუციის ბელადებისადმი.

**მოსკოვი,** 21 აპრილი. (რადიო) წითელ ცხენოსნებმა მოიპოვეს რა დიდი გამარჯვება კრასნოვის, დენიკინის, პილსუდსკის, ვრანგელის ბრბოებზე და ყოველგვარ ბატკა-ატამანების ბანდებზე, სასწრაფოდ გამოეხმაურენ მე-8 ყრილობის მოწოდებას თავის საქმის შესახებ. არმიის ნაწილებმა დაამუშავეს 30,000 დესეტინა, შეაგროვეს 18,000 ფ. სათესლე მასალა., მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ათი ათასობით მებრძოლებმა და ცხენებმა. ჯარმა მოაწყო 124 სამჭედლო, რომელმაც უკვე შეაკეთა მრავალი სასოფლო სამეურნეო იარაღი. მცხოვრებლებისაგან სამადლობელი წერილები მოდის შეგნებულ ცხენოსან არმიელების სახელზე.

**თათბირი მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.**

**პეტროგრადი.** 19 აპრ. (რადიო) მიღებულ იქმნა დადგენილებათა მთელი რიგი მუშათა ცხოვრების შემსუბუქების შესახებ, რათა მათ უფლება მიეცეთ მიიღონ ფოსტის ამანათით სურსათი 1 ფუთამდე თვეში, რომ მუშებთან გათანასწორდეს მომარაგების მხრით ყველა 8 საათს მომუშავე-მოსამსახურენი, რომ გამონახულ იქნას საშუალებები, რათა მუშებმა უფასოდ გადაზიდონ შეშა და გაფეხმძიმება, რომ შინა კაცი სურსათის მხრით გათანასწორებული იქმნას მუშებთან და სხვ.

**საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება იტალიასთან**

**მოსკოვი.** 21 აპრილი (რადიო). საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა გაევსკიმ განაცხადა, რომ ახლო მომავალში საბჭოთა რუსეთსა და იტალიის შორის დადებულ იქნება სავაჭრო ხელშეკრულობა. იტალიის მრეწველობამ იკისრა მისცეს საბჭოთა რუსეთს ვაგონები, ავტომობილები და სხვ. საბჭოთა რუსეთი მისცემს მას ნედლ მასალას. იტალიამ უნდა ხელი შეუწყოს მაღაროების და ნავთის ჭაობის აღდგენას, რასაც რ. ს. ფ. ს. რ. გადაუხდის ნაწილს ოქროთი და ნაწილს კონცესიებით. გაევსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთმა განახლა სავაჭრო დამოკიდებულება ყველა ქვეყნებთან, გარდა საფრანგეთისა და იაპონიისა.

**კოოპერატივების მუშაობის ორგანიზაცია.**

**პეტროგრადი.** 20 აპრილი. (რადიო). მუშათა თათბირზე მოსმენილ იქმნა მოხსენება სოფელთან საქონლის გაცვლისა და კოოპერატივთა მუშაობის მოწყობის შესახებ. საზოგადო ქალაქის კოოპერაციასთან ერთად უნდა არსებობდეს განსაკუთრებული მუშათა კოოპერაცია. მსხვილ წარმოებებთან უნდა იყვეს მოწყობილი, კერძო საქარხნო კოოპერატივები. ყოველ კავშირთან არსდება მწარმოებელთა კოოპერაცია, რომელიც აერთებს ყველა საქარხნო კოოპერატივებს.

**ამნისტია უკრაინაში.**

**ნიკოლაევი.** 21 აპრილი. (რადიო). მუშათა, გლეხთა, წითელ-ლაშქრელთა და მატროსთა დეპუტატების ს.ბ.ს საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი, ხელმძღვანელობს რა სრულიათ უკრაინის საბჭოების მე 5 ყრილობის დადგენილებით, ადგენს სავსებით გაატაროს ყრილობის ყველა დადგენილება იმ გლეხთა პარტიების შესახებ, რომლებმაც თავის შეუგნებლობის გამო მიიღეს მონაწილეობა ბანდიტიზმში და საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლაში. ყველა ბანდიტს და იმ პირთ, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებში ეპატიებათ დანაშაული, თუ ისინი თავის ნებით გამოცხადდებიან და მოინანიებენ. მე-5 სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობის მიერ გამოცხადებული ამნისტია იქნება უკანასკნელი საშუალებათ, რომელიც მოუწოდებს მშვიდობიან შრომისაკენ ყველას, ვინც აქამდე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდენ.

---

# საზღვარ-გარეთ

**ვრანგელის აღსასრული.**

**პარიზი.** 19 აპრილი (რადიო). საფრანგეთის მთავრობა ოფიციალურად გვაცნობინებს, რომ გენერალმა ვრანგელმა კონსტანტინოპოლში შეადგინა რაღაც რუსეთის მთავრობის მსგავსი, და აზრად აქვს შეინარჩუნოს იმ ჯარის საომარი სულიერი განწყობილება, რომელიც მან გადმოსხა ყირიმიდან. ის ეწინააღმდეგება ყველა ზომებს, რომელსაც მიმართავენ საფრანგეთის სამხედრო მმართველები, რათა ბოლო მოუღონ იმ ხარჯს, რომელიც იკისრა საფრანგეთის მთავრობამ, მხოლოდ კაცთ მოყვარეობის გრძნობით და თავის მისწრაფებ თ რათა ყირიმის ლტოლვილები არ დაღუპულიყვნენ შიმშილისაგან. საფრანგეთის მთავრობამ აშკარათ გამოაცხადა სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რომ ლტოლვილი ჯარის კაცები აღარ შეადგენენ არმიას. ამასთანავე მას შემდეგ, რაც სამხრეთ რუსეთის მთავრობამ დატოვა ყირიმის ტერიტორია," საფრანგეთმა და მოკავშირეებმა იცნეს მისი არსებობის აღსასრული. სხვათა შორის კი ისინი სცნობდნენ ამ მთავრობას მხოლოდ, როგორც მთავრობათა დეფაქტოს. საფრანგეთის მთავრობას არ აქვს გადადებული კრედიტი რუსის არმიის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რომელიც შესდგა კონსტანტინეპოლის რაიონში. ამგვარ არმიის არსებობა ოსმალეთის ტერიტორიაზე ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებას და წარმოადგენს კონსტანტინოპოლისათვის საშიშროებას. ზედმეტია ფიქრი მასზე,—აცხადებს საფრანგეთის მთავრობა, რომ შესაძლებელი იყოს ბოლშევიკების დამარცხება რუსის ან და სხვა სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებით, რომელთა დასაყრდნობი წერტილი არის რუსეთის საზღვრების გარეთ; მით უმეტესი, რომ იმ ჯარის კაცთა დახმარებით, რომლებმაც ყირიმის თეთრი არმიის საუკეთესო მდგომარეობის დროს ვერ შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა საბჭოთა ჯარებისადმი.

**საწინააღმდეგო შედეგი.**

ნაუენი. 20 აპრილ. (რადიო) როგორც ჩეხური პრესა იუწყება, საფრანგეთსა ჩეხო-სლოვაკებსა და სამხრეთ სლავიის შორის დადებითი შეტევის და თავდაცვის კავშირი აძლიერებს ავსტრიაში გერმანიაში გერმანიასთან შეერთებისაკენ მიმართულ მოძრაობას.

**რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში.**

**ნაუენი.** 20 აპრილი. (რადიო). ინგლისის ნახშირის მაღაროების მუშების გაფიცვაში არავითარი თვალსაჩინო რამ ცვლილება არ მომხდარა. ირკვევა, რომ ნახშირის მუშებს გადაუწყვეტიათ გაფიცვა განაგრძონ იმ დრომდე, სანამ არ იაღწევენ საბოლოო შედეგებს.

„ტაიმს" აცნობებენ შოტლანდიიდან რომ მაღაროების წალეკისაგან მიყენებული ზარალი შეადგენს რამდენიმე მილიონ გირვანქა სტერლინგს. მაღაროების აღდგენას მოუნდება 3—4 თვე.

**განხეთქილება საფრანგეთის პროფესიონალურ კავშირთა შორის.**

**პარიზი.** 18 აპრილი, (რადიო) საფრანგეთის პრესას, პროფესიონალურ კავშირთა შორის განხეთქილება აუცილებლად მიაჩნია. (გამოტოვებულია) დეპარტამენტისა, სწარმოებს ენერგიული ბრძოლა შეერთებულ პროფ. ორგანიზაციების წინააღმდეგ, მოძრაობას მეთაურობენ კომუნისტები ვონაუსხო და ტომასი. ენკენისთვეში ქალაქ ლილში განზრახული აქვთ მოიწვიონ კონგრესი განხეთქილების მოსაგვარებლად.

**გერმანიის ოქროს მითვისების სურვილი.**

**ნაუენი** 20 აპრილი (რადიო) გერმანიის გაზეთები აცხადებენ, რომ ფინანსიური ექსპერტების აზრით, გერმანიის საიმპერატორო ბანკის ოქროს მარაგი შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ კერძო საკუთრებას, რომელიც საერთაშორისო საბანკო კანონით ხელშეუვალია. საფრანგეთი არ სცნობს ამ კანონს და დაჰპირილ ოქროებში იტაცებს სახელმწიფო ბანკში შეტანილი ფულს. ანტანტის ამნაირი მოქმედება არავითარ გავლენას არ ახდენს გერმანიის ბირჟაზედ.

**გერმანიის წინადადებანი.**

**ლონდონი.** 21 აპრ. (რადიო) გერმანიის მთავრობამ წარუდგინა ვატიკანის საშუალებით ამერიკის მთავრობას შემდეგი წინადადებანი: 1) გერმანია ვალდებულად თვლის თავს, რომ გადაიხადოს მთელი ჯამი მოკავშირეთა ვალისა, 3) გერმანია იღებს თავის თავზე ამერიკის მოკავშირეთა ვალებს და 3) გერმანია წინადადებას იძლევა, რათა გამოიტანონ სამედიატორო სასამართლოში საკითხი ანტანტასთან მისი დამოკიდებულობის შესახებ.

**ანტანტამ გადაწყვიტა რეპრესიებს მიმართოს.**

**ლონდონი.** 20 აპრ. (რადიო). ლოიდ-ჯორჯმა ორშაბათს თემთა პალატაში განაცხადა, რომ გერმანია თავს არიდებს ხელშეკრულობის ასრულებას და მოკავშირეებმა უნდა მოილაპარაკონ ახალ ღონისძიებებზე, რათა აიძულონ გერმანია პატივისცემით მოეპყრას ხელშეკრულებას. ბელგიამაც საფრანგეთის მაგალითით, მტკიცეთ გადასწყვიტა მიაღწიოს დადებით შედეგებს. ალბათ შაბათს ლოიდ ჯორჯი შეხვდება ბრიანს.

---

# პირველი მაისოჲ

**1 მაისის ცენტრალურ კომისიის დადგენილება.**

წარწერების მხატვრებს და ასოების დამწერთ, როგორც თავის ხელობაზე მომუშავეთ, ისე საბჭოთა დაწესებულებების სამსახურში მყოფთ, ევალებათ 2 დღის განმავლობაში ამ დადგენილების გამოქვეყნების მომენტიდან—ჩაეწერონ გრუსტას სამხატვრო სექციაში (გრიბოედოვისა, 22,9 დან 3 სათამდე).

ყველა დაწესებულებანი, რომელთა სამსახურში იმყოფებიან მხატვრები, მოვალენი არიან გაგზავნონ ისინი ნაჩვენები მისამართით 1 მაისის ცენტრალურ კომისიის განკარგულებაში, განყოფილებათა და დაწესებულებათა გამგეების პირად პასუხის მგებლობით.

ეს დადგენილება დამტკიცებულია მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ორახელაშვილის მიერ.

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №**

**ცენტრალურ პირველ მაისის კომისიისა, პირველ მაისს სახლების მორთვის შესახებ.**

ყველა სახლის პატრონებს, ბინის პატრონებს, სახლის კომიტეტებს, საბჭოთა სახლების ყველა კომენდანტებს წინადადება ეძლევათ პირად პასუხისმგებლობის ქვეშ, მიიღონ დროით შემდეგი ქვემოდ-აღნიშნული ზომები:

გამოარკვიონ სრული რაოდენობა ხალიჩების, დროშების, ფერად მატერიის და ყვავილებისა ყველა სახლში, რომლებიც უნდა გამოიკიდოს დღესასწაულის დღეს ქალაქის ყველა ქუჩაზე, სახლის ფასადის მხრივ ფანჯრებზე და აივნებზე.

მიიღონ ყოველი ზომა პირველ მაისს ფანჯრების გასანათებლად ნავთის ლამპებით და სხვა განათებით. ... გარდა ელექტრონისა, რომლითაც განათებულ იქნება ... სახლები და დაწესებულებები, რომელთა სია იქნება გამოცხადებული დამატებით.

ყველა საბჭოთა შენობების კომენდანტები, სახლის კომიტეტები და სახლის პატრონები ვალდებულნი არიან სახლის მომრთველ მხატვრებს, რომელთაც ექნებათ პირველ მაისის ცენტრალურ კომისიისაგან მანდატი, აღმოუჩინონ ყოველ მხრივი დახმარება, საჭირო მუშა ძალის და ტეხნიკურ ძალების მიწოდებით.

ც. პ. კომისიის თავმჯდ. დონენკო.
მდივანი ორახელაშვილი.

**პროცესიის მსვლელობის ორგანიზაცია.**

1 მაისობის მომწყობი ცენტრალური კომისია აცხადებს, რომ ყველა პროფ. კავშირების წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომის შეთანხმებით, აღნიშნულ კომისიასთან დაარსდა საგანგებო სამეული, პროცესიის მსვლელობის საორგანიზაციოდ, შემდეგი შემადგენლობით: რკინ. გზის კავშირისაგან—ამხ. სალაყაია, მელითონეთა კავშირისაგან—ამხ. პრეობრაჟენსკი და მეთამბაქოეთა კავშირისაგან—ამხ. მელიქსეტოვი, კომისიაში შედის აგრეთვე სათეატრო კომისიის წევრი ამხ. ბრიაჩევსკი.

ყველა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელნიც მსვლელობაში მონაწილეობას იღებენ, წინადადება ეძლევათ დაუყონებლივ მიმართონ საგანგებო სამეულს. რათა არ დაირღვეს მთლიანობა მსვლელობის გეგმი ა.

მსვლელობის ორგანიზაციის ყველა საქმეებზე უნდა მიმართონ სამეულის წევრებს. „სატირ აგიტის" თეატრი, დილ. 10—2 ს. და საღ. 7—11 ს.

ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარე **დონენკო.**

მდივნის მოადგილე **ს. ეზიკოვი.**

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**ყველა საბჭოთა დაწესებულებებს და არმიის სამმართველოებს. ცირკულიარულად.**

საქართველოს რევკომში მიღებულ ცნობებით ზოგიერთ საბჭოთა დაწესებულებათ და ჯარის სამმართველოებს განუსაზღვრელ რიცხვით გამოაქვთ საწყობებიდან ქაღალდი, რომელიც ჰქონდა აღრიცხული მომარაგების საბჭოს, უკანასკნელის დაუკითხავად.

ქაღალდის დიდი კრიზისის გამო რომელსაც ამ ჟამად განიცდის რესპუბლიკა, და მომარაგებულ ქაღალდის სწორ განაწილების მიზნით, წინადადება ეძლევა ყველას არამც და არამც არ გაიტანონ ქაღალდი და სხვა ამ გვარი ქონება მომარაგების საბჭოს ნებადაურთველათ, რომელიც მის მიერ აღებულია აღრიცხვაზე და აზრათ აქვს მისი სწორი განაწილება. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილე: **ორახელაშვილი.**

მთავრობის საქმეთა მმართველი **ბიბინეიშვილი.**

## ბრძანება.

**საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო სამხედრო-საზღვაო კომისარ ატისადმი № 3) ა. 21 მარტის 1921 წ. ქ. ბათომი.**

§ 1.

საქართველოს ჯარის, რომელმაც იცნო საბჭოთა მთავრობა, მთელ პირადშემადგენლობას უბრძანებ მოიხსნას გარეგნული გასარჩევი ნიშნები, დაწესებული ამ ჯარში თანამდებობის და დარგის გასარჩევად.

გარდა ამისა, ვაცხადებ ცნობათ, რომ არავითარი ორდენები და გასარჩევი ნიშნები სატარებლად და აგრეთვე სახელწოდების ხმარება ურთიერთ შორის არ უნდა იქმნეს დაშვებული შემდეგში.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა.

## ბრძანება № 39

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 2 ს დადგენილებით ამხ. რუხაძე და კოტლიარენკო დიმიტრი დამტკიცებული არიან საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრებად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

იუსტიციის სახალხო კომისარი **ნაზარეტიანი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. აპრილის 15 თბილისი. სასახლე.

## დადგენილება № 9

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა ღვინით ვაჭრობის შესახებ.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე ღვინით თავისუფალი ვაჭრობა ნებადართულია შემდეგ საფუძველზე:

1. ღვინის მხოლოდ ხელზე გაყიდვა შეიძლება კოოპერატივებიდან, სასურსათო დუქნებიდან, ღვინის სარდაფებიდან, მევენახეთა საწყობებიდან, სამიკიტნოებიდან, მევენახეთა საწყობებიდან და სხვა.

# ანალოგიები

ისტორიის უბრალო გაგება ასეთია—ადამიანი წარსულით სწავლობს მომავალს. რუსეთის რევოლუციასაც აქვს ისტორია—რომელიც იძლევა დიდ გამოცდილებას ერის ცხოვრებისთვის. ხშირად ხდება, რომ დებულება, რომელიც წინათ არ იწვევდა ორ აზრს და დამტკიცებული იყო, ძირიანათ იცვლება. ოქტომბრის რევოლიუციამდე ყველა რუსეთის ინტელიგენციის მეისტორიესთვის ასე იყო - რომ რუსეთის ინტელიგენცია უადრესათ ეროვნული, და კლასის გარეშე. საჭირო იყო რევოლიუციის ცეცხლის გამოცდა, რომ განმეორდა ბიბლიის ამბავი „გასვლის".

რუსეთის ინტელიგენციამ დასტოვა ტანჯული რუსეთი და თავის საკუთარ გადარჩენის ინსტიქტით გაგიჟებულმა სხვის კარზე ხეტიალი ამჯობინა. ჯერ კიდევ დანტემ გამოიტირა სამშობლოს ასეთი დატოვება და სხვის კარებთან დამცირებამ გამოიწვია უძლიერესი სტრიქონები მისი „ჯოჯოხეთის". ჩვენ ჯერ არ გაგვიგონია რუსი ემიგრანტების გამართლება ხელოვნებაში. ჯერ ჯერობით მხოლოდ ქუჩის გაზეთები აღნიშნავენ მათ ყოფნას უნიჭო პროვოკაციებით—მაგრამ ეს მაინც არ უშლის ზოგიერთებს პატრიოტიზმის ტოგის მოსხმას, თითქო მართლა ბაბილონის წყლებზე იყონ და არა მათხოვრებათ სენაზე.

ამ ხალხმა ამჯობინა, რომ მთელი რუსეთი შიმშილით ამწყდარიყო, და თითონ მათხოვრობით და საკუთარ თავის ვაჭრობით ფ ქრობს გადარჩენას. მაგრამ ერს აქვს თავისი გენია.

რჩეულთათვის აშკარა იყო, რომ ლენინი, რომელიც ღირსეულათ სწერდა ველიკორუსების ეროვნულ სიამაყეზე, (Національнаягордость Великоросов) ამას საქმეთ აქცევდა. და დღეს ყველასთვის გასაგებია, რომ დამშეული და ტანჯული რუსეთი სცხოვრობს მარტო ერთი იდეით და არასდროს არ ყოფილა ასე ძლიერი.

თუ პოლიტიკაში ეს ლენინის გენიამ განამტკიცა, ხელოვნებაში ეს ტეზისი პირველად ანდრეი ბელიმ წამოაყენა—ეს გენიალური სქემა ასეთია. როდესაც კვერცხიდან იბადება ახალი არსება, თუნდა ქათმის წიწილი—მაშინ ინგრევა კვერცხის ცა. მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ, რომ ცის დანგრევა ახალი ცხოვრებაა.

ანალოგიები საქართველოსთვის.
გზა საქართველოს ყოფნის გრძელია.
ქიმერია, ქალდეა, კავკაზი.

ყველა ეს გზები გამოუვლია საქართველოს. ვერც ერთი ერი ქვეყანაზე ვერ დაითვლის მეტ გზას. არც ერთი მოწინავე იდეა წინა აზიაში არ ყოფილა, რომ ქართველები არ შემზოდენ. ასე იყო გიორგი სააკაძის ინდოეთის ლაშქრობიდან სპარსეთის რევოლიუციამდე. და ყოფილ რუსეთის ციხეები ქართველების ძვლებს ვერ დაივიწყებენ.

ინტელიგენცია, რომელიც გაიგებს ერის მისწრაფებას ასე—ყოველთვის მასთან იქნება და რევოლიუციის ცეცხლი არ უნდა აბრმავებდეს მის თვალებს. თუ რუსეთმა იწამა იდეა მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის, საქართველო პირველი მატარებელია აზიის რევოლიუცის.

და მესამე ინტერნაციონალის მსოფლიო მერიდიანი მოსკოვიდან ტფილისზე გაივლის. აქ არის სათავე საქართველოს დამოუკიდებლობის, წინდაწინ შეგნებული.

იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც „დედა ენა" ასწავლა მთელ საქართველოს უბრალოთ შემოაპარა პოლიტიკური ფორმულა, რომ სოციალიზმია საიდუმლო იდეა ღარიბების, ამიტომ გასაგებია საქართველოს იმედები და მომავალი. მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე თბილისი უნდა შეიქნეს შტაბი აზიის რევოლიუციის. ეს გაიგო ქართველმა ინტელიგენციამ.

საქართველოს არ ექნება ბაბილონის მდინარეები. იქნება მხოლოდ რევოლიუციონური შემოქმედება ახალი ცხოვრების.

ტიციან ტაბიძე.

# ქამელეონს.

გუშინ შენ ჩვენს წინაამღმდეგ,
ყოველ ღონეს ხმარობდი,
ჩაგრულთ დევნა წამებით,
გულს იტკბობდი, ჰხარობდი!..
სულ სხვა რწმენის იყავი,
თაყვანს სხვა ღმერთს სცემდი,
და შხამიან მახვილსაც
მოძმეს გულში ცემდი!..
და დღეს ლენტი წითელი,
მკერდზე მიგიკერია,
მეგობრობას გვეფიცები—
გუშინდელი მტერია!..
ჩვენს ფერხულში ჩამბულხარ,
ჩვენებურად მღერია;
მოღალატე—პირშაო,
გამოგცვლია ფერია!..

აპოლონ სპირდონიძე.

2. რესტორანებში, ბუფეტებში, სამიკიტნოებში და სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ნებადართულია ღვინის მხოლოდ ხელზე გაყიდვა, ღვინის სმა აკრძალულია.

3. ვაჭრობა მაგარი სასმელებით, მაგალითად, არაყით, კონიაკით, ლიკიორით და სხვ. აკრძალულია.

**შენიშვნა:** მესამე მუხლში მოხსენებული მაგარი სასმელების გაცემის წესს ავათმყოფებისა და სამკურნალოების საჭიროებისათვის შეიმუშავებენ სახალხო ჯანმთელობის კომისარიატის ორგანოები.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 22-ს. ქ. თბილისი. სასახლე.

**სახალხო სასურსათო კომისარიატის დამზადებელი მოღვაწეობა.**

დამზადების მხრივ მთელი საქართველო დაყოფილია შემდეგ რაიონებათ: 1) გორის, 2) კახეთის, 3) ბორჩალოს 4) ახალციხის და ახალქალაქის რაიონები, 5) სამეგრელო და იმერეთი, 6) გურია.

პირველ 4 რაიონში მზადდება ხორბალი, ბოსტნეულობა, კარტოფილი, ხორცისა და რძის პროდუქტები, ორ უკანასკნელში კი—სიმინდი და ლობიო.

დამზადება სწარმოებს საქონლის გაცვლა გამოცვლის საფუძვლებზე, რისთვისაც სახ. სასურსათო კომისარიატმა გამოჰყო საქონლის განსაკუთრებული ფონდი და მიიღო ზომები მის შესავსებათ.

ეხლა გადასაცვლელათ გაგზავნილია შემდეგი საქონლები: ნავთი, პაპიროსები, ლურსმები, მავთული, ასანთი, თამბაქო, საქარინი, შაბიამანი, გოგირდი, კოვზები, დანები, ჭურჭელი, ლამფის შუშები, და სხ. ამ საქონლების მაგიერ ზოგიერთი სამაზრო სასურსათო კომიტეტები და რწმუნებულები უკვე ჰგზავნიან სურსათ სანოვაგეს.

ჩვენი ქვეყნის ფარგლებში წარმოებულ დამამზადებელ მუშაობასთან ერთად მიღებულია ზომები, რომ შემოტანილ იქმნეს საზღვარ-გარეთიდან ფქვილი და ხორბალი. ამ მიზნით დამამზადებელი განყოფილება შეუდგა სავალიუტო ნედლი მასალის დამზადებას.

მაზრებში ეწყობა სამაზრო სასურსათო კომიტეტები, კომიტეტები უკვე მოეწყო ეხლა შემდეგ მაზრებში: თელავის, სიღნაღის, გორის, ოზურგეთის და ახალსენაკის.

# კ. ყიფიანის დაკრძალვა

21 აპრილს დაკრძალეს ქართული სცენის დამსახურებული მსახიობი კ. ყიფიანი. განსვენებულის ნეშთი ქაშვეთის ეკლესიიდან გამოასვენეს ქართული სცენის უხუცეს მსახიობთ და საზოგადო მოღვაწეთ, ეკლესიის გალავანში რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა განსვენებულის მოღვაწეობის აღსანიშნავათ. სიტყვები წარმოსთქვეს აკ. ფაღავამ—ქართულ დრამის სახელით. ამხ. ტამარინმა რუსულ დრამის სახელით, ამხ. მანსკიმ—ხელოვნების მოღვაწეთა კავშირის სახელით. განსვენებულის კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინებით. თეატრ „სატირ-აგიტის" მსახიობებმა განსვენებულის კუბო შეამკეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინით, თეატრის წინ დაახვედრეს ორკესტრი, რომელმაც შეასრულა საზეიმო სამგლოვიარო მარში. როდესაც სამგლოვიარო პროცესიამ თეატრის წინ გაიარა. ყველა დიდ თეატრების წინ სიტყვები იქმნა წარმოთქმული. განსვენებული დაკრძალეს დიდუბის პანთეონში. პროცესიაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რევკომის წარმომადგენელმა მ. ორახელაშვილმა.

# მეჭორეებს

ეს ერთი ხანია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამხ. ფილიპე მახარაძე დასავლეთ საქართველოში მოგზაურობას შეუდგა, პროვინციებში და აქაც, ქალაქში ჩვენი მხრივ ჩამოყრილი იმედ გაცრუებული მტრები დაჟინებით ავრცელებენ ხმას, თითქო ამხ. ფილიპე აღარ იყოს რევკომის თავმჯდომარე, იგი გამოსცვალეს და სხვა. ეს გვესმოდა ჩვენ და არ ვაქცევდით ყურადღებას, რადგან ვასკვნიდით—„ჩვენი „უსაქმოთ" დარჩენილი მტრები თავს იქცევენ, ართობენ თავიანთ მოტყუებულ ამხანაგებსთქო; მაგრამ თუ დღეს ამას ვაქცევთ ამ წერილით ყურადღებას, ეს იმიტომ, რომ ამ ხმებს ზოგიერთი ჩვენი გულუბრყვილო თანამგრძნობებიც დაუჯერებიათ.

აი ამ დაეჭვებულ ჩვენი თანამგრძნობების საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ამხ. ფილიპე მახარაძე ურყევლათ სდგას, საქართველოს მშრომელი ხალხის მიერ ჩაბარებულ პოსტზე—რევკომის თავმჯდომარეთ,—და აწ შემდეგაც ასე იდგომება აღნიშნულ პოსტზე სანამ მას ფიზიკური ძალა და ენერგია ამის საშვალებას არ მოაკლებს.

მოფუსფუსე მენშევიკებმა კი, დეე იქციონ თავი.

მეთვალყურე.

# ამხ. ფილ. მახარაძის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

**გზაში**

10 აპრილი. დილის 12 საათზე თფილისის სადგურიდან დაძრული ამხ. ფ. მახარაძის საგანგებო მატარებელი განაგრძობდა გზას დასავლეთ საქართველოსაკენ.

ამხ. ფილიპე მიეჩქარებოდა ქუთაისში, ბათომში, თავის მშობლიურ მხარე—გურიაში.

ამხ. ფილიპე...—

მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მუდმივ მოძრავს, მოქმედს, პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან დაუდეგარ ბრძოლაში გაჭაღარავებულს, რომელსაც—ოდესღაც თავის მეგობარ—ამხანაგების, დღეს კი მოღალატე მენშევიკების მიერ შექმნილ მძიმე რეჟიმის გამო, ხან ციხეში მჯდომს, ხან კი დაუნდობელი დევნის გამო იატაკ ქვეშ ჩასულს,—მოსპობილი ჰქონდა საშუალება ერთხელაც არის, ენახა ეს მხარე თავისუფალი თავისუფლს—მხოლოდ ახლა ეძლევა ნება ნახოს ის მტრებისაგან განთავისუფლებული.

ამხ. ფილიპეს მატარებელში, მასთან ერთად მიმავალი იმყოფებოდა ამხ. ალ. ერქომაიშვილი, გაგზავნილი სხვა და სხვა დავალებებით.

მივუახლოვდით ავჭალის დანგრეულ ხიდს.

რკინის გზის უფროსმა, ამხ. კაციტაძემ, რომელიც ახლდა თან მატარებელს, უთხრა ფილიპეს:

— აქ ცოტა ხანს მატარებელი გაჩერდება, რომ ვაგონები ცალ-ცალკე სათითაოდ იქნას გაყვანილი ხიდზე, და თუ მოისურვებთ, ამ ხანებში მოასწრებთ ხიდის დათვალიერებას.

— ი, კი, რა თქმა უნდა ვნახავთ—უპასუხა ამხ. ფილიპემ.

ჩამოვედით მატარებლიდან და გაუდექით მახლობლათ მყოფ დანგრეულ ხიდისკენ.

საშინელი სურათი გადაიშალა ჩვენ თვალწინ.

ქართველი მშრომელი ხალხის სიმდიდრე,—წლების განმავლობაში საუკეთესო რკინის მასალებით ნაშენები საშვილიშვილო ხიდი, რომლის გაკეთებაში ვინ იცის რამდენი ენერგია, ძალა და სიცოცხლე შეუწირავთ, ახლა ვერაგ, დაუნდობელ ადამიანების ხელებით აფეთქებულ-აოხრებული საშინლათ გამოიყურება.

უზარმაზარი, ჩამოსხმული რკინის ფართო საძირკველი, რომელზედაც დაყრდნობილი იყო მთელი სიმძიმე ხიდისა, თითქო საგანგებო ხერხით გაუჩრიათ თო, ისე აეფეთქებიათ, დაეშორებიათ ერთმანეთისთვის. უყურებ ამ ნანგრევს და არ იცი, რა უწოდო ამის მომქმედ ადამიანებს; გრძნობ კი მხოლოდ, რომ ამ უკანასკნელთ უზომოთ უნდა სძულებოდათ მისი უკან დარჩენილნი, მათგან გაძარცული უმწეო მშრომელი ხალხი.

...ქართველი მუშებისა, და რუსეთის წითელ არმიელთა ნაწილის გამუდმებულ მუშაობას, რკინის ენერგიას გადაელახა ყოველგვარი დაბრკოლება და ხანმოკლე დროში ისე საკმაოდ შეეკეთებინათ, გაემრთელებიათ ხიდი, რომ მატარებელს შეეძლო გავლა ზედ.

ჩვენი მატარებელი მშვიდობიანათ გასცილდა ხიდს.

ამხ. ფილიპე ფიცხელი განკარგულება გასცა, რომ ხიდზე მომუშავეებს, რომლებიც მთელ დღე და ღამეს ასწორებენ ხშირად მუშაობით, საჭმელ-სასმელის მხრივ არაფერი მოაკლონ.

განვაგრძობდით გზას.

მიუახლოვდით დანგრეულ გრაკალის უფრო დიდ ხიდს.

აქაც ჩამოვხტით.

დავათვალიერეთ...

აქ ნგრევის შედეგი კიდევ უფრო დიდი, შემაძრწუნებელი აღმოჩნდა.

აფეთქებას, როგორც შეშა ისე დაეფლითა ფართე მსხვილი რკინის სარძიკვლები.

დანგრეულ ხიდის აღდგენას აქაც ისე სწრაფად ეწეოდენ, როგორც ავჭალის ხიდზე.

ერთი მომუშავე გლეხთაგანი მიუახლოვდა ამხ. ფილიპეს და მწუხარებით უთხრა:

— ...როგორც შვილს არ მოსჭრის მამა თავს, ისე არც ეს საქმე უნდა ექმნა ადამიანის ხელს, მაგრამ ისინი, არა თუ მამა, შვილის უსაშინელესი მტრები აღმოჩნდენ!

აღშფოთებული, იგი, და მასთან მრავალი კიდევ სხვებიც, ამხ. ფილიპემ დაამშვიდა, იმედი მისცა, უთხრა—არაფერია, ჩვენის ენერგიით და თქვენის ძმურის დახმარებით ყველაფერს ჩქარა, ჩქარა გამოვასწორებთ, ახალს შევქმნით; თქვენ გულს ნუ გაიტეხთ... ჩვენ იმათგან ეს არ გვიკვირს; გვაწუხებს მხოლოთ ის, რომ თქვენ და ბევრი თქვენისთანები ასე არ უყურებდით მათ და მოსტყუვდით, მათმა ვერაგობამ საშინელი სინამდვილის წინაშე დაგაყენათ...

ჩავსხედით.

მატარებელი დაიძრა.

...ხვალ დილით ადრე ვიქნებით ქუთაისში.

სევასტი.

(გაგრძელება იქნება)

# ქრონიკა

**გიორგი ყაზბეგის გარდაცვალების გამო.** წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარი გამგეობა აცხადებს, რომ სტამბოლში გარდაიცვალა წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი საპატიო წევრი, ამავე საზოგადოების მთავარ გამგეობის საპატიო თავმჯდომარე და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი

დღეს, დღის 1-ის ნახევარ საათზე ქაშვეთის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება პანაშვიდი.

საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი გამგეობა აცხადებს, რომ სტამბოლში გარდაიცვალა მთავარ გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე და წევრი, საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი,

დღეს, ნაშუადღევის 1 ის ნახევარ საათზე განსვენებულის სულის მოსახსენებლად ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი.

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** დღეს, აპრილის 24 ს, დილით, თერთმეტის ნახევარზე, მასწავლებელთა სახლში (ყოფილი ქართული კლუბი) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. პროფესორი ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ბრძოლა საქართველოს მთლიანობისა და დანაწილების გამო მე-XVI საუკუნეში".

კრებას გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

**ქართველ მწერალთა კავშირი.** ქართველ მწერალთა კავშირი ახლო მომავალში შეუდგება საგამომცემლო მოღვაწეობას. აზრათ აქვთ გამოსცენ პერიოდული სამხატვრო-სალიტერატურო კრებული „ალმანახი". ქართველ მწერალთა კავშირმა ქალაქის რევკომის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა კავშირს დაეთმოს საგანგებო სადგომი, ქართველ მწერალთა საერთო საცხოვრებლის ბინად.

**სპარსეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია.** ქალაქის რევკომის სამმართველოს განყოფილება აცხადებს, რომ სპარსეთის ქვეშევრდომთა რეგისტრაცია იწარმოებს 25 აპრილიდან 30-მდე, დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე ქალაქის რევკომთან არსებულ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების რეგისტრაციის განყოფილებაში, აბანოს ქუჩა № 1.

**ღარიბების დახმარება.** ახლო-აღმოსავლეთის დახმარების ამერიკულმა კომიტეტმა 15 მარტიდან 10 აპრილამდე მეოთხე სასახლიდან გასცა ბავშვებზე 532 უფასო სადილი და ამდენივე გაჭირვებულ მოქალაქეებზე. აღნიშნულ საანგარიშო დროს განმავლობაში სადილის ღირებულება 140 მანეთიდან 240 მანეთამდის ადიოდა. ამ დღეებში ამერიკულ სასადილოსთან გაიხსნება უფასო ამბულატორია.

**პური უმუშევართათვის.** მუშათა მაგიდის სამმართველოს ქვეგანყოფილების მიერ 4 დღის განმავლობაში 14-17 გაცემულია უმუშევრებზე 122 ფუთი 34 და მეოთხედი გირვანქა პური. ირკვევა, რომ ყოველდღიურ უმუშევრებზე გასაცემი პურის რაოდენობაა 34 ნახ. ფუთი, ქვეგანყოფილება იღებს ზომებს, რათა პური გაცემულ იქნეს უმუშევართა ოჯახის წევრებზედაც. ფიქრობენ, რომ ამ მიზნისთვის დასჭირდებათ ყოველდღე 105 ფუთი პური.

**ბერძენ მუშათა და გლეხთა ყრილობა.** თბილისში ბერძნების აღმასრულებელმა კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა საქ. სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ცენტრალურ რევკომის წინაშე, რათა თბილისში მოწვეულ იქმნეს საქართველოში მცხოვრებ ბერძენ მუშათა და გლეხთა ყრილობა.

**ილია ნაკაშიძის ლექცია.** ორშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე ილია ნაკაშიძე წარმოსთქვამს ქართულად ლექციას საბურთალოს სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებაში—„მსოფლიო მწერალი და მოღვაწე პეტრე კრაპოტკინი, მისი ცხოვრება და მოღვრება".

# ხელოვნება

**კომპ. არაყიშვილის და ტერ-გევონდიანის კონცერტი.**

კვირას, 8 საათზე, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში, შესრულებული იქნება დ. არაყიშვილის და ტერ-გევონდიანის ნაწარმოები სიმღერისათვის, გუნდისათვის და ორკესტრისათვის.

მონაწილეობას იღებენ: ქ ნნი მანდენოვისა, წატუროვისა მელქუმიანი და ი. სარაჯიშვილი.

ორკესტრით ლოტბარობენ: დ არაყიშვილი, კონსერვატორიის დირექტორი ნ. ჩერეპნინი და ტერ-გევონდიანი. გუნდი და ორკესტრი სახელმწიფო კონსერვატორიისა.

# როგორი უნდა იყოს ქალაქის მუშა-გლეხთა მილიცია

მილიცია არის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც მთავრობის დადგენილება-განკარგულებებს ცხოვრებაში ატარებს. მილიცია შუა კაცია ხალხსა და მთავრობას შორის, რომელსაც, როგორც ბევრის გაკეთება ისე ბევრის წახდენაც შეუძლია. სახელმწიფოს აღმშენებლობითი პროცესში მილიციას საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს თუ ის თავისი სიმაღლეზე იდგომება და ყოველივე დაწესებულებებს სათანადო ყურადღებით ასრულებს. როგორი უნდა იყოს ჩვენი მილიცია? ეს საკითხი, რომელსაც ხანგრძლივი აწონდაწონვა, სათანადო დამუშავება და შემდეგ ჩამოყალიბება ესაჭიროება.

იყო დრო, როცა ჩვენი ქვეყნის მუშა-გლეხი ტრაგიკულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, 117 წლიწადი მათ კისერზე აჯდენ სისხლით გაუმაძღარი ნიკოლოზ მე-2-ს ჩინოვნიკები, მივარდნილ საქართველოს სოფლებშიაც კი ხალხის ბედ იღბალი ძველი რეჟიმის მოხელეების ხელში იყო, იმ მოხელეების, რომლებიც ჩვენ დედა-ენას, რომელზედაც ალვიზარდეთ, ძაღლის ენას ეძახდენ და არავითარ საჩივარს, ქართულ ენაზე დაწერილს, არ იღებდნენ. ცხოვრების ამგვარმა პირობებმა ისეთი გავლენა იქონიეს ჩვენ ხალხზე, რომ ნაწილი ქართული ინტელიგენციისა გადაგვარდა. ჩვენდა საბედნიეროთ ასეთი უფრო მეტი იყვნენ უმაღლეს წოდებაში, თავად-აზნაურებში. ეს იყო ხანა გადაგვარებისა. უკიდურეს მდგომარეობაში იყო მაშინ ჩავარდნილი ქართველი მუშა-გლეხობა; რამდენიმე დღე უნდა გაეცდინა ქართველ გლეხს, რომ საჩივარი რუსულად დაეწერიებია ვისმესთვის, რომლის დასაწერ ფასში აუცილებლად უნდა გაეყიდა რამე. 1917 წლის რევოლიუციამ დაანგრია ნიკოლოზ მეორის დახავსებული წეს-წყობილება და რუსეთის ხალხთან ერთად ქართველმა მასსამაც თავისუფლად ამოისუნთქა. დედაენაზე წარმოებულმა მართვა-გამგეობამ ხელ-ფეხი გაუხსნა ქართველ ხალხს და ადვილი შეიქნა საკუთარ ჭირ-ვარამის საკუთარი ხელითვე აღნუსხვა. ცხოვრების დაკვირვება გვიჩვენებს, რომ შეუძლებელია ერის არსებობა დედა-ენის გარეშე. და აკი არ არსებობდა ქართველი ერი, როგორც ასეთი, ამ 117 წლის განმავლობაში? ყოველ სახელმწიფოში გაბატონებულ ხალხის ბურჟუაზიული მთავრობა სდევნის დამორჩილებელ ერებს და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ მის ენას დაუხშოს გზა, შეავიწროვოს და მოსპოს. ჩვენდა საბედნიეროთ ეს არის ბურჟუაზიული მთავრობის ზნე ჩვეულება და, რასაკვირველია რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება ასე არასოდეს არ მოიქცევა. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა იქნება ქართული და მილიციაც, რომელიც ჩვენი წერილის საგანს შეადგენს, ქართულ ენაზე მომქმედი გაცილებით მეტ სარგებლობას მოიტანს, ვიდრე სხვა რომელიმე ენაზე. რომელ ენაზე არის ამ ჟამად საქმის წარმოება თფილისის მუშა-გლეხთა მილიციაში? ჩვენდა სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ მილიციაში საქმის წარმოება რამოდენიმე ენაზე არის, მიუხედავათ ამხ. მილიციის უფროსის განკარგულებისა, რომ ქართულ ენაზე წარმოებდეს.

ეხლა გადავიდეთ მილიციის შემადგენლობაზე, თუ როგორი პიროვნები უნდა იყოს მილიციაში. პასუხის მგებელ პოსტზე, როგორიც არის მილიციის უფროსი, მისი თანაშემწე, რაიონის უფროსი და მისი თანაშემწე უნდა იყოს ამ დარგში გამოცდილი, საჭიროა რევოლიუციონური სტაჟი; სპეტაკი პიროვნება და კარგი წარსულით. თუ დღევანდელი მოხელე წარსულში არა საიმედო პიროვნება იყო, მასსაში ნდობას ვერ დაიმსახურებს და მის განკარგულებას გასავალი არ ექნება. დროებით, სანამ მოუწყობლობა არის, შეიძლება, ეს პირობები არ იქნეს შესრულებული, მაგრამ დამშვიდებული ცხოვრებისათვის უეჭველად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყოველივე ეს. ძველი პოლიციის დროს და ახლო წარსულშიაც ამა თუ იმ პიროვნების მილიციაში მიღების დროს ხელმძღვანელობდენ ბიძა-შვილობით, ნათლიმამობით, რაც არა ერთხელ აღვინიშნავს. დღეიდან ასეთ მოვლენებს ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს, როგორც მილიციაში ისე სხვა დაწესებულებებში.

ეხლა გადავიდეთ მილიციის ეკონომიურ მხარეზე. ოთხი წელიწადი იქნება რაც მე მილიციაში ვმსახურობ ქ. მოსკოვში, ბაქოში და ამ უკანასკნელად თბილისში; ამ ოთხი წლის გამოცდილებამ ნათლად დამანახვა თუ როდის უფრო მეტია მილიციაში მოხელეთა ბოროტ მოქმედება, როცა ის ეკონომიურად უზრუნველ ყოფილია თუ როცა არა. მოსკოვში მილიცია გაცილებით უკეთეს პირობებშია ვიდრე თბილისში და სწორედ ამიტომ აქ მეტი ბოროტმოქმედებაა, ვიდრე იქ იყო. თუ ჩვენ გვინდა მილიციის მოხელემ კეთილსინდისიერათ შეასრულოს თავისი თანამდებობა, შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მატერიალურად უზრუნველვყოთ იგი. განა შეიძლება დღევანდელ პირობებში ადამიანმა თვეში ათი ათასი მანეთით იცხოვროს? ყოვლად შეუძლებელია. ან უნდა შეიქნეს ცხოვრების პირობები ისეთი, რომ ამ ფულით შეიძლებოდეს არსებობა, ან და მიეცეს იმდენი ჯამაგირი, რამდენიც საჭიროა დღევანდელ ბაზრის ფასებთან შედარებით. ჩვენ უნდა შევქმნათ პირობები, რომ ამ ნიადაგზე შესაძლებელი ბოროტ-მოქმედება თავისით ამოიფხვრას ძირიან ფესვებიან. როგორი უნდა იყოს ეს პირობები? ყოველ რაიონში ითვლება ას ორმოცდა ათი მილიციონერი კანცელიარიის მოხელეებით, ოჯახებიც რომ მიუმატოთ, გამოვა ოთხასამდე. ოთხას კაცს ადვილად შეუძლიათ მოაწყონ

რობის დახმარებას მიიღებენ, აირჩიონ თავიანთ შორის სასურსათო კომიტეტი და ამგვარათ საქმე გაცილებით უკეთ მოეწყობა ვიდრე დღე'ს არის. რა არის ამისთვის საჭირო? უპირველესი ინსტანციის და ადგილობრივ ამხანაგების ინიციატივა, მილიციაში ახალი სხივის შეტანა და მით მოხელეთა მატერიალურად უზრუნველყოფას. ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებასთან საჭიროა მილიციაში ფართო კულტურული მუშაობა, რომ მილიციის კადრი შეგნებული იყოს და ნათლად იცოდეს თუ რას ემსახურება. ყოველ რაიონის სამმართველოში მოთავსებული უნდა იყოს ბიბლიოთეკა-სამკითხველო და თუ მოსახერხებელი იქნება მთელ თბილისის მილიციისთვის სკოლა, სადაც წერა-კითხვასთან ერთად სპეციალურ საგნებსაც გადიოდნენ, რომ იქიდან მომზადებული ადმინისტრატორები მივიღოთ. სპეციალურ საგნებთან ერთად მილიციის მოხელენი გაეცნობოდნენ პოლიტიკურ საკითხებს. ამნაირათ მილიციის მოხელეთა აღსაზრდელად საჭიროა სპეციალური სკოლა, სამკითხველოები, თეატრი და სხვა.

უკანასკნელათ შევეხოთ მილიციის მოხელეთა და კერძოთ რაიონის უფროსის უფლებებს. დღეს რაიონის მილიციის უფროსის უფლება ძალიან შეკვეცილია, ის მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას, რომ ბოროტ-მოქმედი აღმოაჩინოს, საქმე გახსნას. ავილოთ მაგალითი. მოხდა რომელიმე უბანში ქურდობა, რაიონის უფროსს არ შეუძლია ეჭვით დაიჭიროს ვინმე ან და, რაც უფრო საჭიროა, სახლი გაჩხრიკოს. ჩვენ გამოცდილებით ვიცით, რომ თუ ქურდობის მოხდენისთანავე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, თუ მაშინვე არ იქნენ შეპყრობილი საეჭვო ელემენტები და არ გაიჩხრიკა მათი ბინა, ისე ყოვლად შეუძლებელია ბოროტ-მოქმედების აღმოჩენა. ამ ჟამად რაიონის მილიციის უფროსმა, რომ მოინდომოს ვისიმე ბინის გაჩხრეკა, უნდა მილიციის უფროსს სთხოვოს ნებართვა, რომლის პროცედურაც ისე გძელია, რომ ქურდის კვალი იმალება ეს, რომ არ იყოს ქურდობა ხდება უმეტეს შემთხვევაში ღამით, როცა მილიციის სამმართველოში მუშაობა არ არის და ნებართვა გაჩხრეკის შესახებ არ შეიძლება აიღოთ. ამნაირათ უმეტეს შემთხვევაში რაიონის მილიციის უფროსი მოკლებულია საშუალებას საქმე გახსნას. ამ მოსაზრებით საჭიროა რაიონის მილიციის უფროსთა მეტი ნდობით აღჭურვა, რაც, ჩვენი ფიქრით, მოხდება როცა ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

შალვა გომართელი.

# მკითხველის წერილები

**ცოტა რამ პროვინციაზე.**

მთელი ყურადღება დღეს მიქცეულია ცენტრზე, პროვინცია კი უყურადღებოთ რჩება. ყველასათვის ცხადია, რომ პარტიული მუშაობა არ სდგას თავის სიმაღლეზე. პარტიული მუშაობის გაცხოველება, მისი ფართო მაშტაბში წარმოება, კომუნისტური პროპაგანდ-აგიტაციის გავრცელება აი რაზე უნდა იზრუნოს ცენტრმა პროვინციისათვის. პროვინცია დღეს განიცდის გამოცდილ საბჭოთა პოლიტიკურ მუშაკთა დიდ კრიზის. ამას ერთვება სურსათის კრიზისი, დანგრეული თეატრების, კლუბების, სასწავლებლების მდგომარეობა რომლებიც პირველ რიგში უნდა აღვადგინოთ ჩვენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა ამ მხრივ მიმდინარეობს ძლიერ სუსტად. პირველი ძირითადი ამოცანა, რომელიც სასწრაფოთ უნდა გადავჭრათ—ეს არის კულტურულ ძალთა აღნუსხვა და მათი პროვინციაში გადასროლა, კომუნისტური პროპაგანდა აგიტაციის ფართოთ გაშლა და ამნაირათ მუშაობის გამოცოცხლება. ეს იქნება თავდები ჩვენი გამარჯვებისა და ამას უნდა მიაქციოს ცენტრმა უმთავრესი ყურადღება. ცოტა რამ აგრეთვე ეხლანდელ თესვის კამპანიის შესახებ. არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის ფაქტი, რომ სურსათის კრიზისი კარზე მოგვადგა; რომ თავიდგან ავიშოროთ ეს, უნდა თესვის კომპანიის დროს შევქმნათ მტკიცე შრომის არმია; უმუშევართა რიცხვი დღეს ბევრია და ამიტომაც ჩვენ ამას შევსძლებთ, ლოზუნგი რომელიც ჩვენ უნდა წამოვაყენოდ არის შემდეგი: არც ერთი ნაჭერი მიწა არ უნდა დარჩეს დაუთესავი. ამით ჩვენ ეხლა თუ არა მომავლისთვის მაინც ავიშორებთ სურსათის კრიზისს. მესამე ამოცანა: დღეს პროვინცია მოკლებულია ყოველივე თეატრს, კლუბს რასაც რუსეთში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, მაშინ როდესაც თბილისში დღეს 20 - 30 ადგილას გაიმართება კონცერტი, სპექტაკლი, მიტინგი, პროვინცია კი ყოველივე ამას მოკლებულია, ეს ხდება, რადგან არ არის კარგად გაწესრიგებული სცენის მოყვარეთა ძალები. შემდეგში კი უნდა მოხდეს ამათი აღნუსხვა, გადასროლა პროვინციაში ისე, რომ არც ერთი მივარდნილი კუთხე არ დაგვრჩეს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომ მასაც ყურადღება უნდა მიექცეს.

ხაშურელი მოსიკო.

—

**ფრთხილად!**

ამ პატარა შენიშვნაში მე მსურს მივაქციო მკითხველის ყურადღება შემდეგს:

27 ამ თვეს მოწაფეებს ითხოვენ; ეს იწვევს მოწაფეებში დიდ სიხარულს რადგან ძველი სკოლა თავის შინაარსით საშინელ სიმძიმესა და საშიშროებას წარმოადგენს მოზარდი თაობისათვის—სხვათა შორის ამიტომ უხარიათ დათხოვა სკოლიდან და უკვე დღეებს მარა დღევანდელ სიხარულს—27 აპრილს დათხოვას—უკვე თან ერთვის თურმე საშინელი მწუხარება—ტირილი გოდება... ზოგიერთ მასწავლებლებს მოუმარაგებიათ ნიშნები და თუ ერთი მხრით საადგომოთ დათხოვა ყმაწვილებს უხარიათ, ეს ნიშნებს მოლოდინი ნერვებს უშლის და სიმშვიდეს უკარგავს, სიხარულს აქარწყლებს...

ნუ თუ დრო არ არის, მოწაფეთა ცოდნის შეფასების საზომი-ნიშნები მოისპოს?

საამისო მასალა ბლომათაა, მაგრამ ზოგიერთი სკოლა და მათი ხელმძღვანელები ჩათრეული ყავს ძველ ჭაობს. ფრთხილათ, ბატონებო! მოზარდი თაობის ფსიხო-ფიზიოლოგიურ არსებას ფრთხილათ, „შიშითა ხვთისათა“... უნდა მოპყრობა.

წლიური ნიშნების მიხედვით მოწაფის დატოვება იმავე ლასში, ან გადაყვანა—ეს დიდი შეცდომა და დანაშაულია. თუ ცოტათი მაინც იმედს იძლევა მოწაფე, სჯობია ის გადაიყვანოთ შემდეგ კლასში. ეს მას წა ხალისებს, შრომას და სკოლას შეაყვარებს; წინააღმდეგ კი—სკოლას და მასწავლებელს შეაძულებს, შრომის ხალისს მოუდუნებს. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ა—ლი.

# ✓ პარტიული ცხოვრება

**1-ლი რაიონის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირში.**

1-ლ რაიონის ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის კლუბში კვირას, აპრილის 17 გაიმართა სადღესასწაულო კონცერტ მიტინგი. დაესწრენ მოხუცი და ახალგაზრდა ამხანაგები. მოხსენების თემას შეადგენდა კომპარტია და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი. გამოვიდნენ ამხ. ძნელაძე, ბედია და ეზიაშვილი. მიტინგის შემდეგ გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:—ჩვენ 17 აპრილს ნაძალადევის თეატრში შეკრებილმა ახალგაზრდა მუშებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება კომპარტიის და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის შესახებ და ვღებულობთ რა მხედველობაში პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან ბრძოლის მძიმე პირობებს ბრწყინვალე მომავლისთვის, გაძლევთ სიტყვას, რომ ვიქნებით შეგნებულნი, ვისწავლით, ვიბრძოლებთ, ვიმუშავებთ, რათა ღირსეულათ შევიდეთ კომუნისტურ პარტიაში, რომელიც გამოცდილია ბურჟუაზიასთან მრავალ ბრძოლებში.

მაშ ასე დავეხმაროთ ბრძოლაში დაქანცულ უფროს ამხანაგებს. გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ მუშათა კავშირს!

გაუმარჯოს ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს.

კონცერტში—მონაწილეობას ღებულობდნენ კლუბის ყველა სექციები: დრამატიული, სამხატვრო, სიმღერა-გალობის ტეხნიკური და სცენაზე მომუშავეთა სექცია. პირველათ დადგმულ იქნა პიესა რევოლიუციონურ მუშათა ცხოვრებიდან.—„თავისუფლებისაკენ“ ლევტანდიტისა. 2) „ნებიერის ხუმრობა“. დივერტისმენტში მონაწილეობას ღებულობდნენ კავშირის ყველა წევრები, გაიმართა გრანდიოზული ბალეტი და სახალხო ცეკვა.

# პროფესიონალურ კავშირებში

**საბჭოთა მომუშავეების კავშირში.**

კავშირის გამგეობის პირველ სხდომაზე აპრილის 11 შემუშავებულ იქნა კავშირის მუშაობის პლანი და გამოყოფილი იქმნა განყოფილებები. დადგენილ იქმნა პირველ რიგში დაარსდეს 5 განყოფილება: საორგანიზაციო საინსტრუქტორო, ეკონომიური, კულტურა-განათლების, სატარიფო-სანორმო და შრომის დაცვისა. განყოფილებების გამგეებათ უნდა იქნენ პრეზიდიუმის წევრნი, მაგრამ თუ კი პრეზიდიუმის წევრთათვის ამის დავალების შესაძლებლობა არ იქნება, მაშინ შეიძლება კომპარტიიდან პროფესიონალურ სტაჟის მქონე პირების მოწვევა. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი 7 წევრისაგან: ამხ. არეშიძე—თავმჯდომარეთ, შარიკიანი—თავმჯდომარის ამხანაგი—იმავე დროს ეკონომიურ განყოფილების გამგე, მოვშენზონი—მდივანი და იმავე დროს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგე, კორძაია—ხაზინადარი, გოდაბრელიძე—შრომის დაცვის განყოფილების გამგე, ტეტიუცკაია—შრომის სანორმო განყოფილების გამგე და ედელსონი—კულტურა-განათლების განყოფილების გამგე.

პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე აპრილის 12 ს განიხილა რა საკითხი საქმეების მიღების შესახებ იმ კავშირებიდან, რომელნიც შევიდნენ გაერთიანებულ საბჭოთა მომუშავეების კავშირში, დაადგინა: ა) კავშირის წევრნი მექანიკურათ ჩარიცხულ იქნებიან საბჭოთა მომუშავეების კავშირში წევრათ, მათი პროფესიონალური სტაჟის ჩათვლით; ბ) ჩარიცხვა ხდება ადგილკომების რეგისტრაციის საშუალებით, რომელნიც ადგენენ მოსამსახურეთა და მოხელეთა სიებს; გ) ყოველგვარი ინვენტარი და მიმოწერა გადაეცემა საბჭოთა მომუშავეების კავშირს სათანადო აღწერილობით და ოქმით; დ) ტეხნიკური აპარატი, საქმის წარმოება და ანგარიშები გადადის საბჭოთა მომუშავეების კავშირის ხელში და ე) შემოერთებულ კავშირების შტატები რჩება საბჭოთა მომუშავეების კავშირის განკარგულებაში.

პრეზიდიუმის დადგენილების სისრულეში მოსაყვანათ არჩეულ იქმნა განსაკუთრებული ორეული, ამხ. მოვშენზონი და კორძაია. არჩეულ იქმნა საბინაო სამეული, რომელშიაც შევიდნენ: ამხ. სანტურიანი, შომახია და ვოლკოვი.

თავის დამოკიდებულების შესახებ კავშირის გამგეობასთან, პრეზიდიუმმა დაადგინა: ყველა საკითხებს პრეზიდიუმი სწყვეტს დამოუკიდებლათ, რაც შეეხება პრინციპიალურ ხასიათის საკითხებს, როგორც მაგალითად: ინსტრუქციის შემუშავება, წინასწარი ხარჯთაღრიცხვის განხილვა, კავშირის განყოფილებათა მუშაობის პლანის შემუშავება და სხვ., —ასეთები წარედგინება გამგეობას დასამტკიცებლათ.

პრეზიდიუმი შეუდგა ს. ს. ს. რ. საბჭოთა მომუშავეების კავშირის დებულების შემუშავებას, რისთვისაც გამოყენებული იქნება სრულიად რუსეთის საბჭოთა მომუშავეების კავშირის მასალა. საბჭოთა მომუშავეების კავშირის მუშაობასთან უფრო სწორ და სრულიად გასაცნობათ და საჭირო მასალის (ინსტრუქციების, დებულების და სხვ.) მისაღებათ დადგენილ იქნა გაიგზავნოს აზერბაიჯანში პრეზიდიუმის წევრი ამხ. შარიკიანი.

დადგენილ იქმნა საწევრო გადასახადი: თვიური ჯამაგირის 2% და ერთდროული—დღიური ხელფასის ნახევარი.

კავშირის ყველა განყოფილებები უკვე შეუდგენ მუშაობას და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9 - 2 და 5—7 საათამდე.

# მუშათა ცხოვრება

**ქალაქის საავადმყოფო საზოგადო კასაში.**

ქალაქის საზოგადო საავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა მიმართა სახალხო შრომის კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებას თხოვნით, რათა გაიცეს ქალაქის სასურსათო განყოფილების მიერ განკარგულება, რომ ყველა ავადმყოფებს, რომლებთაც სჭირდებათ მაძღლიერებელი ჭამა-სმა, დაურიგდეს სურსათ სანოვაგე, მხოლოდ საბუთების მიხედვით, რომლებსაც წარადგენს საავადმყოფო კასა, რადგან არსებული წესი სასურსათო განყოფილებიდან სურსათის მიღებისა მუშებს მეტად მძიმე პირობებში აყენებს.

საავადმყოფო კასამ დაადგინა, გაადიდოს დახმარების ნორმა კასის მონაწილე მშობიარე ქალთათვის 10,000-მდე; მშობიარე ქალებს მიეცეს ქალაქის სასურსათო განყოფილებიდან სურსათ-სანოვაგე კასიდან მიცემულ მოწმობებით, ბავშვის დასამარხავად 14 წლამდის—15,000 მან. და იმ მოზრდილთა დასასაფლავებლად, რომელიც კასის მონაწილეთა ხარჯზე იყო 20,000 მან დადგენილება ესე ეცნობა საყურადღებოთ სახალხო შრომის დაცვის განყოფილებას.

# ჯარში

19 აპრილს საქართველოს წითელ ლაშქრის 1-ლ საბჭოთა მსროლელთა რაზმში სახალხო კომისარიატის პოლიტიკური განყოფილების თაოსნობით იყო გამართული კონცერტ-მიტინგი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა არტისტებმა ამხ. ისეცკი, არლიუკი, ცინკ-ერმოლინსკაია, ინაევმა, აკომპანიმენტი ამხ. საბინ-გუს, ამხ. ყიფიანის მოხსენების შემდეგ, წითელ ლაშქრელებმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ჩვენ, წითელ ლაშქრელებმა 1 ლი საბჭოთა მსროლელთა რაზმისა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ყიფიანის, ხმამაღლა საქვეყნოთ ვუცხადებთ მუშის და გლეხის მთავრობას საქართველოს რევკომს ჩვენს შეუდრეკელობას და ერთგულობას. ჩვენ ზიზღს და წყევლა კრულვას ვუძღვნით სოციალ გამყიდველმენშევიკებს, რომელთაც უნდოდათ ჩვენი და სუყველა მშრომელი ხალხის ჩაგდება ისევ ანტანტის ბრჭყალებში—ამასთან ერთად ჩვენ საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ ყოველ წუთში მუშა და გლეხის მთავრობის ძახილზე მზად ვართ მტლათ დავეცეთ, ჩვენს ძვირფასს საბჭოთა საქართველოს მისი პოლიტიკურად და ეკონომიურად ასაღორძინებლათ. გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას და მის ბელადებს ამხ. ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ბელადებს ამხ ფილიპე მახარაძეს და მიხა ცხაკაიას. გაუმარჯოს დიად რუსეთის წითელ ლაშქარს. გაუმარჯოს ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ახლად დაბადებულ წითელ ლაშქარს.

რაზმის უფროსი და სამხედრო კომისარი ი. ბრეგაძე.

# პროვინციაში

**სოფ. მეჯვრისხევის (გორის მაზრა) მშრომელ მეურნეთა კომუნა.**

1921 წ. 23 მარტიდან შესდგა სოფ. მეჯვრისხევში მუშა-გლეხების მეურნეობის კომუნა, ადგილობრივი კომპარტიის ხელმძღვანელობით. ამ კომუნაში შედის 200 კაცი, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას ა. წ. 23 მარტიდან. როდესაც დაემხო საქართველოში მენშევიკური მთავრობა და გამოცხადდა საბჭოთა ძალაუფლება, ყველა ღარიბეს მუშა-გლეხებმა იგრძნეს თავისუფლების შემნათებელი სხივები საქართველოში. ყველა მშრომელ დაჩაგრულთ მიეცათ საშუალება თავისუფლათ ამოესუნთქათ.

22 მარტს მოწვეულ იქნა სოფ. მეჯვრისხევის გლეხები საერთო მიტინგზე და გაეცნენ სხვადასხვა საკითხებთან ერთად საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ მოწოდებას მუშა გლეხებისადმი, მიწის საკითხის შესახებ, „მიწა იმას ვინც მასზედ მუშაობს“. მიწა არ არ დარჩეს დაუმუშავებელი, აწი ბაღები და სამეურნეო იარაღები უნდა ამოძრავდეს, მეურნეობა გაუმჯობესდეს და არ დაეცეს, ყველა მშრომელი შეერთდეს როგორც პოლიტიკურათ, ისე ფიზიკურათ და შეერთებულის ძალით იბრძოლოს ერთის მხრით მტაცებელ ბურჟუაზიულ კლასს, მეორე მხრივ გააუმჯობესოს მეურნეობა და თვისი შინაური მდგომარეობა. ამ მიზნით მოხდა სოფ. მეჯვრისხევში შეერთება მუშა გლეხების, მათ მოუწოდეს ყველა მოძმე ღარიბეს გლეხებს: ვისაც გსურთ შემოგვიერთდით, ერთად ვიშრომოთ და ერთად მივაღწიოთ მომავალ ბედნიერების, შრომის, სამეფოს. შეერთდენ 200 დე კაცი, რომლებიც საერთო ძალით განაგრძობენ მუშაობას.

მათი მუშაობის მოკლე შინაარსი: კომუნაში ირიცხება ამხანაგათ ყველა, ვინც თავის სურვილით ჩაეწერება.

კომუნაში ჩაწერილ ამხანაგებს შეაქვთ ყველა თავისი საკუთარი სამეურნეო იარაღი, მუშა საქონელი. ნამუშევარი და დასამუშავებელი მამული.

ყველა კომუნაში შესულ ამხანაგებს უტოვებენ საბაღეს მათ განკარგულებაში მათი ოჯახის წევრების დასაკმაყოფილებლათ.

ყველა ამხანაგი სრული უფლებით სარგებლობს და სავალდებულოა მათთვის დაემორჩილონ საერთო წესდებას და ამხანაგურ დადგენილებას.

ყველა ამხანაგი ავათმყოფობის დროს განთავისუფლებულია სამუშაოდან ექიმის შემოწმებით, და ირიცხება სრულ უფლებიან ამხანაგათ.

ამორჩეულია გამგეობა 3 კაცისაგან შემდგარი.

დასამუშავებლათ კომუნს გადაცემული აქვს განსაზღვრული ნორმა, ჩამორთმეულ მამულიდან ადგილობრივ მიწების და მუშა მცხოვრებლების მიხედვით.

კომუნაზე დასამუშავებლათ გადაცემული ვენახები ნაწილობრივ ნორმებით დაყოფილია და მათზე ამორჩეულია განსაკუთრებული მებაღე პასუხისმგებელი, საერთოდ მებაღეებზე დანიშნულია გამოცდილი აგრონომ-ინსტრუქტორი.

მუშა ხელიც დაყოფილია ათეულებათ ნომრობით, ამორჩეულია ათეულების გამგე, და არჩეულია საერთო ხელმძღვანელი.

ყველა მებაღეს ევალება დაუყონებლივ აცნობოს საჭიროება მამულის დამუშავებისა გამგეობას, და თავის დროზედ გამოარკვიოს ვენახისთვის ესა თუ ის საჭიროება. ამის მიხედვით ევალება ათეულების გამგეს, გადაგზავნოს მუშა ხელი სამუშაოდ ნაჩვენებ ადგილას მოთხოვნილებისამებრ.

ამ ჟამად მუშაობს ხუთი გუთანი, კომუნაში შემოსულ ამხანაგების საქონლით შემდგარი, მათივე შემოტანილი გუთნის იარაღით. გუთნეულები დაყოფილია ნომრებით, ყველა გუთნეულზე ამორჩეულია გამგე, და საერთო [illegible] სახნავ სათეს მიწებზე არჩეულია განსაკუთრებელი მცოდნე [illegible].

განზრახულია მომავალისთვის მეფუტკრეობის, აბრეშუმის და სხვადასხვა მეურნეობის სპეციალურათ მოწყობა, რომელსაც უკვე შევუდექით. კომუნაში შემოსული ამხანაგები სულ ღარიბესი მუშა-გლეხებისაგან შესდგება.

საჭიროა ამ ჟამათ დახმარება სამეურნეო ხელსაწყო იარაღით, თესლით და სხვადასხვა მასალით, აგრეთვე პირველ საჭირო საგნებით.

კომუნალური გამგეობის თავმჯდომარე ბ. ურიგაშვილი.

---

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ზე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—ბაზნის ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

# განცხადებანი

**პ ა რ ტ ი უ ლ ი**

„სურსათზე“ მომუშავეთა პროფეს. კავშირის კომუნისტური ფრაქცია აცნობებს ყველა კომუნისტ წევრებს, რათა სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ კავშირის შენობაში (მუშათა სასახლე მე-3 სართული № 28) სარეგისტრაციოდ კავშირის მდივანთან ამხ. სეროპიანთან.

ფრაქციის ბიუროს მდივანი **სეროპიანი.**

კვირას, 24 აპრილს, ნაშუადღევს 4 საათზე, კინო-თეატრი „მინიონ“-ის დარბაზში დანიშნულია პროფკავშირების საბჭოს კომუნისტურ ფრაქციის სხდომა, წევრების დასწრება სავალდებულოა, დასწრება შეუძლიათ პარტიის წევრებსაც, არა ფრაქციის წევრებსაც.

დღის წესრიგი:

ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება შემდეგ თემაზე „პროფესიონალური კავშირები და პარტია.“

ფრაქციის ბიურო

**პ რ ო ფ ე ს ი ო ნ ა ლ უ რ ი**

ყველა საქარხნო კომიტეტებს „სურსათის“ პროფ. კავშირისა.

„სურსათზე“ მომუშავეთა პროფესიონალური კავშირი აცნობებს ყველა საქარხნო კომიტეტების წევრებს, რომ კვირას, 24 აპრილს, დღის 4 საათზე „სურსათზე“ მომუშავეთა კავშირის ბინაზე (მუშათა სასახლე მე 3 სართული № 28) დანიშნულია ყველა საქარხნო კომიტეტების თათბირი, რომლებიც შედიან ზემო აღნიშნულ კავშირში.

დასწრება ყველა საქარხ. კომიტეტის წევრებისა სავალდებულოა.

საინსტრუქტორო განყოფილება

**სხვა და სხვა.**

სახელმწიფო უნივერ. მთავარ შენობაში დღეს დილის ათ საათზე შესდგება სამკურნალო ფაკულტ. ყველა კურსების სტუდენტთა **შეერთებული კრება.**

განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები **გამგეობა.**

25 აპრილს, ორშაბათს სად. 5 საათზე, ნაძალადევის შენობაში დანიშნულია საერთო კრება საბინაო კომიტეტების წარმომადგენლების, ბინის კომიტეტების კოლეგიის ამოსარჩევად.

ს სურსათო ბიუროს გამგე **მ. სოხელია.**

---

ოთხშაბათს, 27 აპრილს, ნაშუადღევს 5 საათზე, დანიშნულია

## გაფართოებული სხდომა პროფკავშირების საბჭოს პლენუმის.

პროფკავშირების გამგეობების წევრების და ყველა საქარხნო კომიტეტების:

**დღიური წესი:**

1. შრომის დაცვა. 2. პრემიალური სისტემა. (ამხ. რეზნიკოვის მოხსენება).

**ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.**

---

## საჭიროა ორი გამოცდილი მთარგმნელი

ერთი მექდვითი საქმეში დახელოვნებული პიროვნება და ერთი კორექტორი ახალგ. „ფურცლისათვის“. მსურველებმა მიმართონ ახალგ. კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტში, რუსთაველის პრ. № 2?, მესამე სართული, პირობების გაგება შეიძლება მდივანთან.

საქ. ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

---

## ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება